# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 მაისი 2003 №91 (1862) | ფასი 50 თეთრი

**თავისუფალი მასმედიის შენარჩუნება ქართული დემოკრატიის გადარჩენაა!**

**საქართველოს გამომცემელთა და მაუწყებელთა ასოციაცია „თავისუფალი პრესა“**



# გამოღმით მე ვარ
# CELTIC VS PORTO
# გაღმით შენ
## შუა ჩამოდის ცრემლის მდინარე

გამოღმით მე ვარ, გაღმით შენო, დღეს სევილიაზე ითქმის. ანდალუზიის მთავარი ქალაქი ისედაც ოდითგანვე გაყოფილი იყო „სევილიას“ და „ბეტისის“ ქომაგებად, ახლა კი ამ გაყოფამ სრულიად კონკრეტული გეოგრაფიული საზღვარი შეიძინა. ზუსტად ისე, როგორც ვაჟას ლექსშია.

სევილიას მდინარე გვადალკვივირი ჰყოფს და ქალაქის თავებმა წინდახედულად დააბინავეს პორტუგალიელი და სქოთი გულშემატკივრები მდინარის სხვადასხვა მხარეს, მატჩამდე თავშესაქცევად კი იქაური ჩამოსხმის ლუდი კრუსკამპო დაუტოვეს.

მაგრამ ისიცაა, რომ ქალაქის გაღმა-გამოღმა გავლებული საფეხბურთო საზღვარი დღეს ღამით თუ არა, ხვალ დილას მოიშლება. პორტუგალიელები და შოტლანდიელები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდებიან, აი, ვინ როგორ ხასიათზე იქნება, ამას კი წინასწარ, აბა, როგორ მოგახსენებთ.

წესით და რიგით, თავში უნდა გვეთქვა, რომ დღეს უეფას თასის ფინალში „სელტიკი“ და „პორტუ“ ხვდებიან, მაგრამ ვინძლო ბოლოში თქმითაც არაფერი შავდება, ფეხბურთის მოყვარულებმა ეს ხომ ისედაც იცოდით.

იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდები



REUTERS სპეციალურად

## ილაპარაკოს ფრანკო სენსიმ შეთქმულებაზე
# მილანმა და კალაძემ თასი შეუთქვეს

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გუშინ ღამით, ეგებ ახლაც, „რომას“ მწვრთნელი ფაბიო კაპელო ცოფებს ყრის, ხოლო რომაელებისავე პრეზიდენტი ფრანკო სენსი ეგებ კვლავაც შეთქმულებაზე ლაპარაკობს, რასაც ყოველთვის აკეთებს, როცა „მილანი“ ან „იუვენტუსი“ იგებენ.

ერთი კვირის წინ ვწერდით, რომ კახა კალაძე პირველი ქართველია, ვინაც ჩემპიონთა თასის ფინალში გავიდაო. დღეს თითქმის დარწმუნებულებმა შეგვიძლია დავძინოთ, რომ კალაძე პირველი ქართველია, ვინაც იტალიის თასი მოიგო.

გუშინ კალაძის „მილანმა“ თასის მხოლოდ პირველ მატჩში იმარჯვა, წინ კი საპასუხო შეხვედრაა, მაგრამ რომში 4:1 კალაძისთვის იტალიის თასის მოგების წინასწარვე მილოცვის საკმარის საბაბს გვაძლევს. დავძინოთ: „მილანმა“ მეორე შემადგენლობით ითამაშა, კახა კალაძე კი შეცვლაზე შევიდა.

გუშინვე საფრანგეთის ჩემპიონი ზედიზედ მეორედ „ლიონი“ გახდა. აქაც თითქოს არ გვაქვს ამის მტკიცების უფლება, რაკი დიდიე დეშანის „მონაკოს“ ლიონელთა დაწევის თეორიული შანსი რჩება. მაგრამ „ლიონის“ ჩემპიონობა მეტი დარწმუნებით შეგვიძლია გამოვაცხადოთ, ვიდრე „მილანის“ თასის მოგება: „ლიონი“ ჩემპიონი რომ ვერ გახდეს, ამისთვის ბოლო ტურში თავად ხომ უნდა დამარცხდეს, „მონაკომ“ კი ... 20:0 უნდა მოიგოს.

20:0 — თეორიულ შანსზეც არ ღირს ლაპარაკი.



REUTERS სპეციალურად

# იპოვეთ განსხვავება

## ლიცენზიები გაინტერესებთ? ინებეთ


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია № 01-7/99
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი
ლიცენზია გაცემულია 2000 წლის 4 თებერვალს

*როცა გიმტკიცებენ, ეს ქვეყანა ჩალით არის დახურულიო, ან კვერი უნდა დაუკრა, ანაც შეეწინააღმდეგო. თუ კვერს დაუკრავ, ნასულია შენი საქმე, დარწმუნებული უნდა იყო, რომ ისე გადაგთელავენ, წელში ველარასდროს გასწორდები. ამიტომ შეწინააღმდეგება სჯობს: შესაძლოა, დაგარტყან, მაგრამ წელში გამართვის შანსი გრჩება და თან ღირსებასაც შეინარჩუნებ*


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1027
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1025
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1026
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი
ლიცენზია გაცემულია 2003 წლის 8 მაისს

ეს შესავალი პოლიციისა და ტოტალიზატორ „კროკოს“ ურთიერთობამ დაგვაწერინა. პოლიციის „კროკოს“ ბიუროებში სამხედრო ოპერაციის სიზუსტით შეჭრა ბოლო დღეების გახმაურებული საქმეა და მრავალ ასპექტს მოიცავს. აქ ერთი კონკრეტული მათგანი გავარჩიოთ.

ტოტალიზატორში შეჭრის მთავარ მიზეზად პოლიციამ „კროკოს“ ულიცენზიოდ მუშაობა დაასახელა. სიმართლე გითხრათ, გაგვიკვირდა, რადგან „კროკო“ 11 წელია მუშაობს და მისი არსებობის უკანონობა ნუთუ მხოლოდ ახლა აღმოაჩინეს? ხოლო, როცა „კროკოს“ ხელმძღვანელებმა ფინანსთა სამინისტროს მიერ ჯერ კიდე სამი წლის წინ (04.02.2000) გაცემული ლიცენზია გვაჩვენეს, გაკვირვება მაშინ უნდა გენახათ — პოლიციის დასახელებული მიზეზი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

მოგვიანებით პოლიციამ პრესკონფერენციაზე ასეთი განმარტება გააკეთა: „კროკოს“ თბილისში 15 ბიურო აქვს და შესაბამისად 15 ლიცენზია სჭირდებაო.

რამდენი ლიცენზია სჭირდება ერთი კომპანიის რამდენიმე ბიუროს მუშაობას, ამ თემას ქვემოთ მივუბრუნდებით, პოლიციამ კი პრესკონფერენციაზე ისიც გვითხრა, თუ, როგორც თავად ამტკიცებენ, ერთი ლიცენზია საკმარისია, ოთხი ლიცენზია რატომ ჰქონდათ აღებულიო. ამით მიგვანიშნეს, „კროკო“ მახეში გაებაო. ერთი შეხედვით, გამომძიებელთა მსჯელობაში ლოგიკის გვარიანი დოზაა. მართლაცდა, თუ ერთი ლიცენზია გჭირდება, ოთხს რატომ იღებ, მაგრამ...

თუმც ჯერ ის გავარკვიოთ, რამდენი ლიცენზია აქვს „კროკოს“. ბიუროებში შეჭრის დღესაც (14 მაისი) და შემდგომ პრესკონფერენციაზეც (20 მაისი) პოლიცია ოთხი ლიცენზიის არსებობას ადასტურებს. ეს ლიცენზიებია: ზემოთ ნახსენები 2000 წელს გაცემული ლიცენზია და კიდევ სამი, რომლებიც „კროკომ“ ამა წლის 21 მარტს აიღო. მაგრამ ფოტოზეც ხედავთ — არსებობს კიდევ სამი, ამა წლის 8 მაისს გაცემული ლიცენზიებიც. ანუ ჯამში „კროკოს“ 7 ლიცენზია ჰქონია. დაგვეთანხმებით, ოთხი შვიდის ტოლი ვერასდროს იქნება.

ლიცენზია კი ის დოკუმენტია, რომლის მოპოვება და ნახვა სასამართლოში უპრობლემოდ შეიძლება. პოლიციას ამის გაკეთება აზრად არ მოსვლია.

მაგრამ იმ არგუმენტს, „კროკოში“ რომ ამბობენ, ერთი ლიცენზია გვჭირდება, რამდენიმე რატომ აიღესო, ოთხის მაგიერ შვიდი ლიცენზიის ქონა, ცხადია, ვერ აბათილებს. პოლიციის ამ არგუმენტის გაბათილებას სხვანაირი ჩაკირკიტება სჭირდება.


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1010
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1011
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი


საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
MINISTRY OF FINANCE OF GEORGIA
ლიცენზია №01-7/1011
შპს „კროკო“
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №5
ტოტალიზატორი
ლიცენზია გაცემულია 2003 წლის 21 მარტს

აქ მთავარ საკითხს მივადექით: ლიცენზია კომპანიას (არა აქვს მნიშვნელობა, ტოტალიზატორია თუ სხვა) ზოგადად საქმიანობის უფლებას აძლევს, თუ რომელიღაც კონკრეტულ მისამართებზე ოფისების გახსნის უფლებას? ეს უაღრესად პრინციპული საკითხია, რადგან: თუ ლიცენზია ზოგადად საქმიანობის უფლებას იძლევა, მაშინ ოფისების რაოდენობის მიუხედავად, ერთი ლიცენზია კმარა. ხოლო თუ ლიცენზია კონკრეტულ მისამართებზე ოფისების გახსნის უფლებას იძლევა, მაშინ, ცხადია, „კროკოს“ რამდენი ბიუროც აქვს, იმდენი ლიცენზია უნდა აეღო.

აი, ახლა კი, წარმოდგენილ ლიცენზიებს დააკვირდით და იპოვეთ განსხვავებები. თითოეულ ლიცენზიას განსხვავებული ნომერი და გაცემის თარიღი აქვს, მისამართი კი ყველგან ერთი და იგივეა: რუსთაველის გამზირი №5.

თუ 15 სხვადასხვა მისამართზე არსებულ „კროკოს“ ბიუროებს სათითაოდ ლიცენზიები სჭირდება, ყველა ლიცენზიას რუსთაველის გამზირი №5 რატომ აწერია? ამ ქვეყანაში, სადაც შვიდს ოთხად ასაღებენ, ყველაფერზე შეიძლება შემოგედავონ, მაგრამ საღი აზრი ერთადერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: ლიცენზიებზე ერთმისამართიანობა ლიცენზიის საქმიანობის უფლებაზე გაცემას უნდა ნიშნავდეს, ანუ საჭიროა მხოლოდ ერთი ლიცენზია.

და თუ რატომ აიღო „კროკომ“ შვიდი ლიცენზია და ფინანსთა სამინისტროსთან ადრევე მიღწეული შეთანხმებით რატომ აპირებს უახლოეს მომავალში კიდევ რვა ლიცენზიის აღებას, კომპანიის ხელმძღვანელებმა გვითხრეს: სამი წელია ვამტკიცებთ, რომ ერთი ლიცენზია საკმარისია, რის გამოც სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან გაუთავებელი დავა გვაქვს. ჩვენ კანონის სათანადო მუხლს ვიშველიებთ, ისინი რაღაც ბრძანებულებებს და ინსტრუქციებს, რომლებსაც კანონზე დიდი ძალა არ შეიძლება ჰქონდეთ, მაგრამ რაკი არსებობს, ჩვენ, როგორც კანონმორჩილი კომპანია, ვემორჩილებით, თუმც კანონის დასაცავად ბრძოლას განვაგრძობთ.

# თბილისში ჩამოსვლამდე ბლატერი გოგლიძეს თბილისზე ელაპარაკა


რამაზ გოგლიძე მადრიდში ვალტერ გაგს და იოზეფ ბლატერს შეხვდა

**თითოეულმა** სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს სპორტს, როგორც კულტურის ნაწილს — ამ დევიზით ჩაიარა დიდმა მადრიდულმა თავყრილობამ, 12-დან 17 მაისამდე ესპანეთის დედაქალაქში რომ გაიმართა.

მადრიდში მსოფლიოს სპორტული ფედერაციების და ოლიმპიური კომიტეტის ალმასკომის წევრები შეიკრიბნენ. საქართველოდან პირინეის ნახევარკუნძულზე რამაზ გოგლიძე იმყოფებოდა. სპორტკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე დღეს საქართველოს ბეისბოლის და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტიცაა და სწორედ ამ სტატუსით ეწვია მადრიდს. გოგლიძეს საქმიანი შეხვედრები ჰქონდა მსოფლიოს სპორტის ავტორიტეტულ ჩინოსნებთან და მნიშვნელოვანი ინფორმაციითაც დაბრუნდა თბილისში.

რამაზ გოგლიძე საფეხბურთო წრეშიც ცნობილი პიროვნებაა. იგი ხუთი წლის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი იყო და მაშინაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ფიფა-უეფას ჩინოსნებთან.

როგორც ცნობილია, 23 მაისს თბილისში ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი ჩამოვა. ფიფას თავკაცის ეს ვიზიტი ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის. იოზეფ ბლატერმა თბილისურ ვიზიტზე ესპანეთშიც ისაუბრა რამაზ გოგლიძესთან. მადრიდში ბლატერთან ერთად გოგლიძე ფიფას ტექნიკურ დირექტორ ვალტერ გაგსაც შეხვდა. გაგი 18 წლის წინ იმყოფებოდა საქართველოში. 1985 წელს საბჭოთა კავშირმა 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლა. მაშინ ერთ-ერთი ჯგუფის მატჩები თბილისში რომ ჩატარდა, ჟოაო ავალანჟთან ერთად ვალტერ გაგის დამსახურებაცაა. მადრიდში რამაზ გოგლიძე ქართველთა ძველ მეგობარს მულტიმილიონერ მექსიკელ მარიო ვასკეს რანიასაც შეხვდა. მექსიკელმა ქართული სპორტისადმი დახმარების სურვილი გამოთქვა. მარიო ვასკეს რანია მსოფლიოს სპორტის განვითარების კომიტეტის თავმჯდომარეა. მისი მიწვევით რამაზ გოგლიძე სანტა დომინგოში გაემგზავრება პანამერიკულ თამაშებზე.

**პაატა ძმანტალიანი**

საქართველოს უმაღლესი ლიგის ჩემპიონატი მეორე ეტაპი 14 9 ტური ჯგუფი

რუსთავი. 21 მაისი. 18 საათი. ფოლადი
სიონი — კოლხეთი

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი (თბილისი); ა. სამხარაძე (სოხუმი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილჩენკო; დირექტორი: მ. ანჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვართ ჩაფრები, მაგრამ ლამაზები

## დანდიზე ჯავრი ფინალში უნდა ვიყაროთ



*„რეინჯერს“ – „სელტიკის“ 2003 წლის დაპირისპირების საბოლოო შედეგი კვირას, სქოთური პრემიერლიგის ბოლო ტურში გაცხადდება თუ, რა თქმა უნდა, „ოქროს მატჩი“ არ იქნება საჭირო.*

*შოთა არველაძე მეორე სეზონს ამთავრებს „რეინჯერსში“ და თუ სამი შოტლანდიური თასი უკვე ასწია (ერთი ამ სეზონში), ჩემპიონი ჯერაც არ გამხდარა.*

*ბოლოსწინა ტურში არველაძე ერთ-ერთი გამორჩეული კი იყო „ჩაფრებიდან“, მაგრამ 11-მეტრიანი ვერ გაიტანა...*

— ჩემს შოტლანდიურ კარიერაში ეს მეხუთე პენალტი გახლდათ, აქედან სამი გავიტანე, ორი ვერა. პირველი 11-მეტრიანი შარშან ლიგის თასის ნახევარფინალში გავაცუდე „სელტიკთან“.

**— მიკროტრავმების გამო პრობლემები გქონდა. ახლა თავს როგორ გრძნობ, კარგ ფორმაში ხარ?**

— ალბათ, ნორმალურ ფორმაში ვარ. ტრავმების შემდეგ ნელ-ნელა ვიღდგენ კონდიციებს. „ჰართსთან“ პირველ ტაიმში მარცხენა გარემარბი ვიყავი, მეორეში მარჯვენა, ცენტრში კი მიხაელ მოლსი და რონალდ დე ბური იყვნენ.

**— „რეინჯერსის“ დამრიგებელმა ალექს მაკლიშმა ნამატჩევს თქვა, არველაძემ პენალტი რომ ვერ გაიტანა, მის დასჯას ვაპირებდი, მაგრამ მისი საგოლე პასის შემდეგ გაბრაზებამ გადამიარაო...**

— მაკლიშმა თავის სიტყვებში ხუმრობა გაურია, ყოველ შემთხვევაში, აქაურმა პრესამ ასე წარმოაჩინა მისი ნათქვამი. მატჩი კი კარგად ვითამაშე — ნამდვილად ბრძოლა გახლდათ და ბევრი იყო სარბენი და საჭიდაო, ფლანგებზე მოთამაშე მცველების დაზღვევაც კი მევალებოდა, რა დროს რა სიტუაციაში აღმოჩნდებოდი, ამას ვერ გათვლიდი.

**— ბოლო ტურში შინ „დანფერმლაინს“ ეთამაშებით და მოგების გარდა რაც შეიძლება ბევრი გოლის გატანაც გმართებთ. ეს უარყოფითად არ იმოქმედებს „რეინჯერსის“ ფეხბურთელებზე?**

— რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედებს, მაგრამ ორი ტურის წინ „კილმარნოკთან“, სულ მცირე, ოთხი გოლის სხვაობით გვჭირდებოდა მოგება „სელტიკის“ გადასასწრებად და ეს შევძელით. მოკლედ, ძალიან იმედიანად ვართ. თანაც შინ ვთამაშობთ და ხომ წარმოგიდგენიათ, რა სიტუაცია იქნება „აიბროქსზე“.

**— „რეინჯერსს“ ერთი თვის წინ საკმაოდ კარგი ფორა ჰქონდა „სელტიკთან“, მაგრამ ალბათ დაუდევრობის გამო გაანიავა უპირატესობა — ჩემპიონობას მაინც უფრო „რეინჯერსი“ იმსახურებს?**

— დასანანი ქულები კი დავკარგეთ, მაგრამ ჩემპიონობას მაინც ჩვენ ვიმსახურებთ.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ ჩვენ უფრო ლამაზ ფეხბურთს ვთამაშობთ, ვიდრე „სელტიკი“. თორემ, რა თქმა უნდა, „სელტიკი“ ძალიან სერიოზული გუნდია.

**— 31 მაისს კი ასოციაციის თასის ფინალი გელით „დანდისთან“ და „რეინჯერსისთვის“ ყველაფერი მხოლოდ „სელტიკთან“ ურთიერთობის გარკვევით არ მთავრდება...**

— „დანდიზე“ ძალიან გაბრაზებულნი ვართ. ბოლო ტურში „სელტიკთან“ დანდელებმა ძირითადი შემადგენლობის ნახევარი არ გაიყვანეს და 2:6 წააგეს, ხოლო მანამდე ჩვენ მთელი ძალით დაგვიპირისპირდნენ და ფრედ 2:2 გვეთამაშნენ. ასე რომ, ფინალში „დანდის“ დამარცხება ძალიან გვინდა. თანაც, თუ სამივე შოტლანდიური ტიტული მოვიგეთ, ჩავთვლით, რომ კარგი სეზონი გვქონდა.

**— თუ ასე არ მოხდა, სეზონში გატანილი 15 გოლით ვერ იტყვი, რომ კარგი სეზონი გქონდა?**

— 15 გოლი 30 მატჩში ცოტა ნამდვილად არ არის, თუმც 20-22 გოლის გატანა თავისუფლად შემეძლო, მაგრამ მეორე ეტაპზე რამდენიმე მატჩში 15-20 წუთით მიწევდა თამაში, 5-6 ნაღდი გოლი კი მსაჯებმა არ ჩაგვითვალეს.

**დავით თავართქილაძე**

# დიდავამ ჯანაშია მოსკოვში გაისტუმრა

## ტრაბზონსპორი ქართველებს გაზეთიდან ელაპარაკება

**ორი ტურიც** და თურქული სუპერლიგის წლევანდელ გათამაშებას ისტორია მიითვისებს. იზმითური „ქოჯაელისპორის“ საქმე კი რა ხანია, გარკვეულია — ქართველების გუნდი ქვედა ლიგაში გავარდა.

„ქოჯაელისპორის“ დაქვეითება ძნელად სავარაუდო სულაც არ იყო. ჯერ კიდევ პირველი წრის შემდეგ იზმითელები მყარად ტკეპნიდნენ სატურნირო ცხრილის ფსკერს. წრეებს შორის შესვენებისას „ქოჯაელისპორს“ ცოტა ფული და დიდი იმედი გაუჩნდა. გუნდმა ერთბაშად ოთხ ქართველ ფეხბურთელთან ერთად ერთიორი სხვა ლეგიონერიც გადაიბირა და გადარჩენაზე ფიქრი დაიწყო.

გივი დიდავა, რევაზ ქემოკლიძე, გია იმედაძე და ზაზა ჯანაშია თითქოს იოლად შეეგუენ ახალ გარემოს, თავიდან გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც მოიკიდეს ფეხი, თუმც „ქოჯაელმა“ წაგებების დავიწყება ვერ შეძლო. საჩემპიონატო კრახს თასიდან გავარდნაც დაერთო და... პრობლემებიც სარეცელა ბალახივით მომრავლდა.

ჯერ იყო და, შემადგენლობიდან უცებ გაუჩინარდა ზაზა ჯანაშია. მერე მის კვალს რევაზ ქემოკლიძე და გია იმედაძეც მიჰყვნენ, ბოლოს კი მთავარი მწვრთნელი გიუვენჩ ქურთარიც გადადგა.

მიცვალებული „ქოჯაელი“, ცხადია, ვერც დროებითმა მწვრთნელმა გააცოცხლა. ორი ტურის წინ კი იზმითელებმა ოფიციალურად „დაკარგეს“ სუპერლიგაში ადგილი. დაკარგეს ჯანაშიაც. დარდიმანდული ხასიათის „მიმქცევნოსანმა“ ქართველმა თავდამსხმელმა „ქოჯაელის“ არეულ-დარეული ცხოვრების წესს ველარ გაუძლო და თურქეთი დატოვა. ეს ინფორმაცია გივი დიდავამაც დაგვიდასტურა, რომელსაც გუშინ იზმითში შევეხმიანეთ:

— რამდენიმე დღეა, რაც ჯანაშია ჩვენგან წავიდა. როგორც ვიცი, ის მოსკოვში იმყოფება.

სად აპირებს ზაზა კარიერის გაგრძელებას, ჯერ ნამდვილად არ ვიცით, თუმც სამომავლო გეგმები არც დანარჩენ სამ ჩვენებურს დაუსახავს. გარკვეული მხოლოდ ისაა, რომ სეზონის დასრულებისთანავე გუნდს გია იმედაძე დატოვებს, რომელსაც „ქოჯაელისპორთან“ კონტრაქტი სწორედ მაისის ბოლოს უმთავრდება.

გადასაწყვეტია გივი დიდავას და რევაზ ქემოკლიძის საკითხი. სავარაუდოდ, „ქოჯაელისპორში“ არც ისინი გაჩერდებიან, თუმც საამისოდ ფეხბურთელებს კლუბის ხელმძღვანელობასთან მოუწევთ შეთანხმება. მით უმეტეს, როგორც ადრე გაუწყეთ, დიდავა-ქემოკლიძის გადაბირება თურქული ფეხბურთის ერთ-ერთმა გრანდმა, „ტრაბზონსპორმა“ მოისურვა.

— ჯერჯერობით ახალი არაფერია. რაღაც პრობლემები არის, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემპიონატის დასრულებამდე ყველაფერი მოგვარდება. სამი თვის ხელფასი არ მოუციათ, გუნდში ფინანსური კრიზისია და, ვეჭვობ, მაისის ბოლომდე რაიმე გაირკვეს. „ტრაბზონსპორის“ დაინტერესებაზე აქაური გაზეთებიდან შევიტყვე. კონკრეტული წინადადებებით არავის მოუმართავს. ვნახოთ, დარჩენილ ორ ტურსაც ვითამაშებთ და მერე კლუბის ხელმძღვანელებს შევხვდები. ამის შემდეგ დავადგენ ჩემს სამომავლო გეგმებს — გვითხრა გუშინ გივი დიდავამ.

**კახა ზალამბერიძე**



ზაზა ჯანაშიამ ფეხი დაკრა და თურქებს მოსკოვში გაექცა



რევაზ ქემოკლიძე და გივი დიდავა სეზონის დამთავრებას ელიან

# არველაძე ქანთრის სტილში

## ტყუპისცალმა ოკეანეს გადაუფრინა



არჩილ არველაძე

**მეორედან** პირველ ბუნდესლიგაში აღზევებული „კიოლნი“ და 30 წლის არჩილ არველაძე კონტრაქტს რომ აღარ გააგრძელებდნენ, ადრევე გაუწყეთ. გუშინ კი აჩიკო კიოლნიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა — ჩვენებურმა მეიჯორ სოკერ ლიგის „დალას ბერნში“ ამოჰყო თავი.

ამერიკის საფეხბურთო ლიგა (MLS) ორი კონფერენციისგან შედგება — აღმოსავლეთი და დასავლეთი. თითოეულ კონფერენციაში ხუთ-ხუთი გუნდია, „დალასი“ კი დასავლეთს ეკუთვნის.

თუმც ამერიკის საფეხბურთო ჩემპიონატზე დაწვრილებით თხრობას ნუ მოვყვებით — ტყუპისცალ არველაძეს ხელი ჯერ არაფერზე არ მოუწერია. იმას კი დავძენთ, რომ ამერიკაში სეზონი მარტში დაიწყო და ნოემბრამდე გასტანს.

არველაძე სავარაუდოდ ერთ კვირას დაჰყოფს დალასში. ქართველს სამედიცინო შემოწმებას ჩაუტარებენ და მოლაპარაკებებიც ამის მერე დაიწყება. ჯერ მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ აჩიკო „დალასში“ გასინჯვაზე არაა და მას იქ ვარჯიშს ვერავინ დაავალდებულებს.

ტყუპისცალის მხრიდან მოლაპარაკებებს ცნობილი აგენტის, ივან ბერეშის ვაჟი ივან მარკო უძღვება — სწორედ მან გამოუძებნა არჩილს „დალასის“ ვარიანტი.

**დავით თავართქილაძე**

# კორდალიძემ ჩემპიონობა გაინაღდა და კლუბი დაგეგმა

**ბოლო** ოთხი ტურია, ლატვიის მრავალგზის ჩემპიონ „სკონტოს“ შემადგენლობაში ქართველი ნახევარმცველი ლევან კორღალიძე არ გამოჩენილა. მიზეზი ტრავმაა. 22 წლის კორღალიძეს დაახლოებით ერთი თვეა, მუხლის ტკივილის გამო ბურთზე ფეხი არ დაუკარებია.

— სეზონის წინ ნაღრძობმა მუხლმა, სამწუხაროდ, თამაშისას თავი ისევ შემახსენა და ამის გამო რამდენიმე შეხვედრა გამოვტოვე. ახლა თავს კარგად ვგრძნობ. მკურნალობის პერიოდი ოდნავ კი გაიწელა, მაგრამ ამას აღარ დავეძებ. მთავარია, უკვე გამოვჯანმრთელდი — გვითხრა გუშინ ლევან კორღალიძემ, რომელსაც რიგაში დავუკავშირდით.

ეს დღეებია, „სკონტოს“ შერჩენილმა ერთადერთმა ქართველმა ინდივიდუალური პროგრამით განაახლა ვარჯიში. ოთხ-ხუთ დღეში კი კორღალიძე მთავარ გუნდსაც შეუერთდება და მერე, ალბათ, ლატვიის ჩემპიონატშიც გამოჩნდება.

ლევანს სამომავლო გეგმებზეც დავეკითხეთ:

— ჩათვალეთ, რომ ჩემპიონი ისევ „სკონტო“ გახდება. არა მგონია, ჩვენი შეჩერება ვინმემ შეძლოს. ასე რომ, ლატვიას, ალბათ, თავაწეული დავტოვებ. ვნახოთ, დაახლოებით ერთ თვეში ყველაფერი გაირკვევა. როგორც გავიგე, რაღაც ვარიანტები არის, მაგრამ სად გავაგრძელებ კარიერას, ნამდვილად არ ვიცი. მთავარია, ახლა ფორმა აღვიდგინო და თამაში დავიწყო.

**კახა ზალამბერიძე**

# უეფას თასი 2002-2003. ფინალი. დღეს

## პორტუ

99. ვიტორ ბაია, 33 წლის. ოდინდელ ბარსელონელ მეკარეს მუხლის მძიმე ტრავმამ 2000-01 წლების სეზონი მთლიანად, მომდევნო კი სანახევროდ გამოატოვებინა. მერე მისი საქმე მომჯობინებისკენ წავიდა და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშა. მაგრამ პორტუგალიის ნაკრებში ლუიშ ფელიპე სკოლარის მისვლის მერე პირველი მეკარის ადგილი დაკარგა.

22. პაულუ ფერეირა, 24 წლის. ეს მცველი განსაკუთრებით სასარგებლო მარჯვენა ფლანგზეა, თუმც ზოგჯერ ცენტრშიც ათამაშებენ. გარდა ამისა, ხშირად და სახიფათოდ ებმევა შეტევაშიც.

2. ჟორჟე კოშტა, 31 წლის. „პორტუს" ყოფილ მწვრთნელთან უთანხმოების გამო ერთი სეზონი ინგლისურ „ჩარლტონ ატლეტიკში" გაატარა. მერე „პორტუში" მწვრთნელი შეიცვალა და ისიც დაბრუნდა. დაცვის შემდულებელია. მეტოქის იერიშებისას მუდამ ინარჩუნებს სიმშვიდეს და დაუფიქრებლად აჩაღებს ორთაბრძოლებს. ნაკრების ყოფილ წევრს არაერთი მნიშვნელოვანი გოლიც გაუტანია, მეტწილად კუთხურების ჩაწოდების შემდეგ.

4. რიკარდუ კარვალიუ, 24 წლის. ძალიან სწრაფია და მყისიერად იღებს გადაწყვეტილებებს. დაცვის ცენტრში თითქმის გაუვალია და თავადაც ხშირად მიიწევს წინ — უპირველესად, ნახსენები სისწრაფისა და ბურთის ჩინებულად ფლობის წყალობით.

8. ნუნუ ვალენტე, 28 წლის. მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ ყოფილი გუნდიდან, „ლეირიადან" წაიყვანა. უაღრესად საიმედო მარცხენა მცველია. ერთვება შეტევებშიც და ძალიან ცუდი პოზიციიდანაც კარგად ურტყამს კარში.

6. ფრანსისკო კოშტინია, 28 წლის. ნახევარდაცვის ხერხემალია. ჩამშლელიცაა და შემქმნელიც. ბრწყინვალედ თამაშობს მეორე სართულზე. თამამად მიდის შეტევაში, ასრულებს კუთხურებს და საჯარიმო დარტყმებს.

15. დმიტრი ალენიჩევი, 28 წლის. დაუღლელი ნახევარმცველია, რომლის მთავარი კოზირი ზუსტი და ეფექტური პასებია. გოლებიც გააქვს.

10. დეკო სოუზა, 26 წლის. ამ გამთამაშებლის სახელს ყველაზე ხშირად ახსენებდნენ პორტუგალიის საამსეზონო ჩემპიონატისას. მუდმივად ამწვავებს თამაშს, თან იმ მიმართულებით, საიდანაც მეტოქე საფრთხეს ვერ გრძნობს. აქვს უძლიერესი დარტყმა და საჯარიმოთიც იტანს. მაგალითისთვის მარტში ბრაზილიისთვის გატანილი გოლიც გამოდგება. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში სანაკრებო დებიუტი ჰქონდა.

18. მანიჩე რიბეირუ, 25 წლის. „პორტუში" ლისაბონის „ბენფიკადან" მოხვდა, საიდანაც უდისციპლინობისთვის გააგდეს. ახალ კლუბში გამოსწორდა და შეუცვლელი მოთამაშეც გახდა. ბურთის მოხელთების დიდი მცოდნეა, უზუსტესი პასი და მომაკვდინებელი დარტყმა აქვს.

9. ედგარას იანკაუსკასი, 28 წლის. ლიტველი ფორვარდიც შარშან „ბენფიკადან" გადაიბირეს და „პორტუს" ყველა დროის უძვირესი შენაძენია. ჩვეულებრივ შეცვლაზე თამაშობს და მოგვიანებით შესულს ამ სეზონში რვა გოლი დაუგროვდა. მისი სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა კი ელდერ პოსტიგას დისკვალიფიკაციით არის განპირობებული.

11. დერლეი სილვა, 27 წლის. ესეც ჟოზე მაურინიუმ წაიყვანა „ლეირიადან". ბრაზილიელი ფორვარდი მთელი 90 წუთი დაუღლელად მოძრაობს და ნებისმიერი პოზიციიდან შეუძლია შეტევა. უეფას თასის წლევანდელი სეზონის მთავარი ბომბარდირია, 10 გოლი გაიტანა.

## პორტუ

სევილია
„ესტადიო ოლიმპიკო"



ჰენრიკ ლარსონი


ფრანსისკო კოშტინია

# ევროპა ელის სანახაობას

მას შემდეგ, რაც 1971 წელს ბაზრობათა თასი უეფას თასად მონათლეს, 31 ფინალური მატჩი გაიმართა, მაგრამ პორტუგალიური და შოტლანდიური გუნდები ერთმანეთს არ შეხვედრიან. ისე კი, 1983-ში ლისაბონის „ბენფიკამ" ფინალს უწია, სადაც ბელგიის „ანდერლეხტთან" ორი მატჩის ჯამში 1:2 დამარცხდა. თავის მხრივ სქოთურმა „დანდი იუნაიტედმა" „გეტებორგთან" 1987 წლის ფინალი ასევე 1:2 დათმო.

1998 წლიდან ორმატჩიანი ფინალები გააუქმეს და თასის მფლობელის ბედი ერთ შეხვედრაში წყდება.

დღეს უეფასგან დაწესებულ ჯილდოს ახალი პატრონი ჩაიბარებს. შარშანდელმა გამარჯვებულმა, როტერდამის „ფეიენოორდმა", ფიალა სევილიელებს უკვე გადაულოცა.

ორივე გუნდი ჩემპიონთა თასის მფლობელია. „სელტიკმა" 1967 წელს ლისაბონურ ფინალში მილანის „ინტერს" 2:1 სძლია, ხოლო 1987-ში „პორტუმ" ვენაში „ბაიერნს" ასეთივე ანგარიშით მოუგო. „სელტიკმა" ლისაბონური ტრიუმფიდან სამი წლის თავზე კიდევ ერთხელ სცადა ბედი, თუმცა ფინალში, „ფეიენოორდთან" 1:2 დამარცხდა.

თუ მოვლენათა განვითარების კვალს გავყვებით, სიმბოლურია, რომ თითქოს, იმ ჯილდოს სანაცვლოდ, რომელიც „ფეიენოორდმა" „სელტიკს" აართვა, უეფას თასი თავისი ხელით სევილიაში ჩაუტანა — მოიგე და შეირგეო. მოკლედ, შესაძლოა, ერთგვარი ვალის დაბრუნება მოხდეს, იმ შემთხვევაში თუ „სელტიკი" დღეს იყოჩაღებს. დაკვირვებულ თვალს არც ის გამოეპარება, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ფინალებიდან ყველა საბოლოოდ ერთნაირი ანგარიშით, 2:1 დასრულდა.

„პორტუ" ჩემპიონია, უეფას თასის მოგებით კი ზეიმის გაღრმავებას აპირებს. საჩემპიონოდ კარგი შანსი აქვს „სელტიკსაც", რომელიც „რეინჯერსს" მხოლოდ გატანილი გოლების რაოდენობით ჩამორჩება. დუბლის შესრულების შესაძლებლობა მატჩს დამატებით ინტრიგას მატებს, თუმცა ორივე გუნდისთვის მთავარი ალბათ მაინც დღევანდელი ფინალია, რადგან თავისი ქვეყნის ჩემპიონატები „პორტუსა" და „სელტიკსაც" მრავალჯერ მოუგიათ. გარდა ამისა, თითოეულ მათგანს, ცხადია, სურს, რომ უკვე მოგებულ ჩემპიონთა თასს გვერდით უეფას თასი მიუდგას.

დღევანდელ შეხვედრაში ჰენრიკ ლარსონის და დერლეი სალვას პირადი დუელიც შედგება. 31 წლის შვედმა ფინალამდე 9, ხოლო 27 წლის ბრაზილიელმა 10 გოლი მიითვალეს. ჰენრიკ ლარსონმა ნახევარფინალში „ბოავიშტას" ორივე მატჩში გაუტანა, ხოლო დერლეი სილვამ მეოთხედფინალში, ათენში, „პანათინაიკოსთანაც" წყვილი შეაგდო და ნახევარფინალში, პორტუში, „ლაციოსთანაც" დუბლი შეასრულა.

„უეფას თასის ფინალი ჩემთვის ცხოვრების მთავარი მატჩია — თქვა შვედმა — მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატებზეც მითამაშია, მაგრამ ეს სულ სხვაა. „სელტიკში" ერთი წელიღა დავრჩები და მსურს, რომ თასით ხელდამშვენებული წავიდე. ბავშვობაში ალბათ ყველა ფეხბურთელი ოცნებობს ევროთასის ფინალზე. ისევე, როგორც ჩემი თანაგუნდელები, თავს არ დავზოგავ ამ ჯილდოს მოსაგებად. გუნდი შესანიშნავ ფორმაშია და ვგრძნობ, რომ პიკს მივაღწიეთ. „სელტიკის" ფანები დღევანდელ მატჩს მოუთმენლად ელიან. დიდი ხანია, ასე შორს არ შეგვიტოპია და ვიცი, რომ ახლა უამრავი გულშემატკივარი ჩვენგან მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს. ფინალამდე არაერთი ძლიერი მეტოქე ჩამოვიცილეთ და არც „პორტუს" შევუშინდებით".


ჯონ ჰართსონი „სელტიკს" ვერაფერში დაეხმარება

გლაზგოელებს ერთ-ერთი მთავარი კაცი, უელსელი ჯონ ჰართსონი დააკლდებათ. მან ბოლოს „რეინჯერსის" წინაალმდეგ ითამაშა, მატჩი „სელტიკმა" მოიგო და უელსელმა იმ შეხვედრაში ერთი გოლი მიითვალა. ჰართსონს სამი კვირის მანძილზე მკურნალობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოჯანმრთელდა, რამაც მარტინ ონილი ძლიერ დაალონა. „ჯონი შეუცვლელია — თქვა მწვრთნელმა — მისი არ ყოფნა სერიოზული დანაკლისია, რადგან როცა ჰართსონი მოედანზეა, მეტოქის მცველებს საქმე არ დაულევს".

ჯერ კიდევ იანვარში კლუბი მარტინ ონილს კონტრაქტის გაგრძელებაზე სიტყვიერად შეუთანხმდა, მაგრამ თვითონ არ ჩქარობს: „ამჯერად მთავარი კონტრაქტი კი არა, ფინალური მატჩია. 33 წელია, კლუბს ევროთასი არ აღუმართავს და ისტორია კიდევ ერთი ფინალის მოგებას გვთხოვს. რა თქმა უნდა, ფეხბურთელებზე შექმნილი ატმოსფერო მოქმედებს, მაგრამ ისინი პროფესიონალები არიან".

„სელტიკის" ბულგარელ ლეგიონერ სტილიან პეტროვს გლაზგოელებმა „სტენი" შეარქვეს. დღეს მას ფორვარდების პასებით მომარაგება დაევალება. „მე მომწონს ეს როლი — თქვა სტენმა — ზურგიდან პოლ ლამბერტი და ნილ ლენონი დამეხმარებიან და საჯარიმოში შენავარდების მეტი საშუალება მექნება. პოლ ლამბერტი ერთხელ მომიყვა, თუ რას ნიშნავს ევროთასის ფინალში თამაში. მან მითხრა, ფინალი დაუვიწყარი სანახაობააო. „პორტუ" ძლიერი გუნდია. მისი თამაშის რამდენიმე ვიდეოფირი ვნახე და გეტყვით — დაუმარცხებელი არავინაა. ვიმედოვნებ და მწამს, რომ უეფას თასს დავისაკუთრებთ. ფინალს ჩემი ოჯახის წევრებიც დაესწრებიან."

თუ სელტიკელებმა „პორტუს" მატჩების ვიდეოფირი წალმა-უკუღმა ატრიალეს, ჟოზე მაურინიუც იგივე საქმით იყო დაკავებული. მოკლედ, მეტოქეებმა ერთმანეთი თხემით ტერფამდე შეისწავლეს.


ჟოზე მაურინიუ


მარტინ ონილი

# უეფას თასი 2002-2003. ფინალი. დღეს

## მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

პორტუელებს ფინალამდე ათი დღით ადრე ჩემპიონატის მატჩში ფრანსისკო კოშტინია დაუშავდათ. ექიმებმა ფეხბურთელს თავიდან უთხრეს, ფინალში შენი მონაწილეობა გამორიცხულიაო, მაგრამ თავად კოშტინია ჯიქურ იწევდა. მაშინ ყოზე მაურინიუმ თქვა: „მას ჰგონია, რომ თამაშს შეძლებს, მე კი პირიქით ვფიქრობ. სამწუხაროა, რომ ვერ დაგვეხმარება, არადა, იგი საჰაერო ორთაბრძოლების ოსტატია, რაც ბრიტანულ გუნდთან პირდაპირ მისწრებაა.“

მწვრთნელისა და „პორტუს“ ფანების სასიხარულოდ, ფრანსისკო კოშტინია მომჯობინდა და როცა მაურინიუს მის შესაძლო თამაშზე ჰკითხეს, ჟურნალისტებს მიუგო: „რას გადამეკიდეთ? ძირითად შემადგენლობაში იანკაუსკასი იქნება, დერლეი სილვა თუ ფრანსისკო კოშტინია, მატჩის წინ გადავწყვეტ. ვინც არ უნდა იყოს, ჩემი ფეხბურთელების შესაძლებლობები კარგად ვიცი. ამიტომ, ვფიქრობ, მეტოქისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ფინალი ფინალია და მხოლოდ მოსაგებად უნდა ითამაშო.“

პორტუელებს ელდერ პოსტიგა არ ეყოლებათ, რომელმაც „ლაციოსთან“ რომში წითელი ბარათი გაირტყა და დისკვალიფიცირებულია.

მეკარე ვიტორ ბაია არ ღელავს: „ჩვენ მშვიდად ვართ და საკუთარ ძალების გვწამს, თუმც ვიცი, ოფლის ღვრა გველის. ევროთასის ფინალში ფავორიტებზე საუბარი რთულია. თუ გავითვალისწინებთ „პორტუსა“ და „სელტიკის“ სათამაშო ყაიდას, ერთი რამ ნაღდია, ქომაგებს თვალსასეირო მატჩი ელით. საჭიროა მაქსიმალური ყურადღება, რადგან სელტიკელი ფორვარდები „მეორე სართულზე“ შესანიშნავად თამაშობენ. ჩემი თანაგუნდელები საამისოდ მზად უნდა იყვნენ. ჩვენ საკმაოდ ძლიერი მცველები გვყავს, რომლებსაც ნებისმიერი თავდასხმის შეჩერება ძალუძთ.“

ბოლოს მსაჯებზეც ვთქვათ. ისინი სლოვაკეთიდან არიან. მთავარი არბიტრი ლუბოშ მიხელია, რომელსაც ერთი კვირის წინ 35 წელი შეუსრულდა. მას თანაშემამულეები, იგორ შრამაკი და მარტინ ბალკო დაეხმარებიან, მოედნის კიდესთან კი მეოთხე ანტონ შტრედაკი იქნება.

ლუბოში მიხელი მსაჯის პროფესიას 19 წლისა ეზიარა. მას 1999-ში პორტუში „ბოავიშტასა“ და „დორტმუნდის“ მატჩში უმსაჯია, რომელიც „ბოავიშტამ“ 1:0 მოიგო. 2002-ში მისი ნასტვენი შეხვედრა „ბაიერნსა“ და „ბოავიშტას“ შორის უგოლო ფრით დასრულდა.

2001-02 წლების ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრაში „პორტუსა“ და „გრასჰოპერს“ შორის ისევ მიხელი მიავლინეს და მატჩი 2:2 დამთავრდა. იმავე სეზონში ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე „პორტუ“ „პანათინაიკოსთან“ 1:2 რომ დამარცხდა, იმ მატჩსაც სლოვაკი სასტვენის ხმა ახლდა. რაც შეეხება „სელტიკს“, გლაზგოელებს ახლოდან ლუბოშ მიხელის დასტვენილი ჯერ არ მოუსმენიათ და დღეს მოისმენენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გზა ფინალამდე

### პორტუ (პორტუგალია)

**I ეტაპი**
პორტუ – პოლონია (პოლონეთი) 6:0, 0:2

**II ეტაპი**
აუსტრია (ავსტრია) – პორტუ 0:1, 0:2

**მეთექვსმეტედფინალი**
პორტუ – ლანსი (საფრანგეთი) 3:0, 0:1

**მერვედფინალი**
პორტუ – დენიზლისფორი (თურქეთი) 6:1, 2:2

**მეოთხედფინალი**
პორტუ – პანათინაიკოსი (საბერძნეთი) 0:1, 2:0

**ნახევარფინალი**
პორტუ – ლაციო (იტალია) 4:1, 0:0

### სელტიკი (შოტლანდია)

**I ეტაპი**
სელტიკი – სუდუვა (ლიტვა) 8:1, 2:0

**II ეტაპი**
სელტიკი – ბლექბერნი (ინგლისი) 1:0, 2:0

**მეთექვსმეტედფინალი**
სელტიკი – სელტა (ესპანეთი) 1:0, 1:2

**მერვედფინალი**
სელტიკი – შტუტგარტი (გერმანია) 3:1, 2:3

**მეოთხედფინალი**
სელტიკი – ლივერპული (ინგლისი) 1:1, 2:0

**ნახევარფინალი**
სელტიკი – ბოავიშტა (პორტუგალია) 1:1, 1:0

## სელტიკი

### გამოღმით ჩვენ ვართ, გაღმით თქვენ
### სევილია სქოთებმა დაიპყრეს




ჯერ კიდევ მაისის დასაწყისში უეფას მზვერავები სევილიის „ესტადიო ოლიმპიკოს“ შესამოწმებლად ეწვივნენ და გაცოფდნენ, როცა მინდვრის მდგომარეობა ნახეს. უეფელებმა სასწრაფოდ ბალახის საფარის შეცვლა მოითხოვეს და სტადიონის დირექტორმა მიგელ ბენიტესმა ისინი დააწყნარა, დამშვიდდით, ბატონებო, ნუ ნერვიულობთ, საფინალოდ ისეთი ბალახი იქნება, რომ თქვენი მოწონებულიო. მიგელ ბენიტესმა სიტყვა შეასრულა. დღეს „პორტუ“ და „სელტიკი“ „სევილიის მწვანეს“ დააჭაშნიკებენ.

სევილიელებს კარგად ახსოვთ, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაუვიწყარი ნახევარფინალური მატჩი საფრანგეთი — გფრ. ამ დრამატულ შეხვედრას სწორედ სევილიამ უმასპინძლა. აქვე 1986 წელს ერთმანეთს შეასკდნენ „ბარსელონა“ და „სტიაუა“ ჩემპიონთა თასის ფინალში.

ქალაქში მრავალი ისტორიული ძეგლია, რომლებითაც ანდალუზიელები თავს იწონებენ. მათ შორის მთავარი გოთური ტაძარია, რომელიც მეჩეთის ადგილზე ააშენეს, მისი მშენებლობა თითქმის საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა. ტაძარში გენიალური კარლოს გოიას ნახატებიც არის და სევილიელების მტკიცებით, ქრისტეფორე კოლუმბი სწორედ აქაა დასაფლავებული.

ტაძრის დასავლეთით, ძველი პორტის რაიონ ელ არენალში, ესპანეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი არენა, „მაესტრანცა“ მდებარეობს, სადაც, ალბათ თავადვე ხვდებით, ხარნი წითელ ნაჭრებს დასდევენ.

სევილიაში ორი ძირძველი მეტოქე — „სევილია“ და „ბეტისი“ ბინადრობს. „სევილია“ 1905 წელს მალაროელებმა დაარსეს, ხოლო „ბეტისი“ ორი წლის შემდეგ მოევლინა ქვეყანას.

პირველად ეს გუნდები 1916 წლის 31 დეკემბერს შეხვდნენ ერთმანეთს და დერბიმ რიარიაში ჩაიარა.

1935 წელს „ბეტისმა“ ესპანეთის ჩემპიონატი კი მოიგო, მაგრამ სეგუნდადივიზიონში ძალიან ხშირად გადაინაცვლებდა ხოლმე და ამიტომ ყოველთვის თანაქალაქელი მეტოქის ჩრდილში იყო მოქცეული.

მეოცე საუკუნის ბოლოს „ბეტისის“ სტადიონს „ბენიტო ვილიამარინს“ და სევილიის კუთვნილ „სანჩეს პისხუანს“ კონკურენტი, „ესტადიო ოლიმპიკო“ გამოუჩნდა, რომელიც აგერ, უეფას თასის ფინალსაც კი უმასპინძლებს.

სევილიაში ჩასულ ტურისტებს განსაკუთრებით იქაური ცხარე კერძები მოსწონთ. ქალაქის ვიწრო ქუჩებში დამსვენებლები ადგილობრივი წარმოების ლუდს, კრუსკამპოსაც სიამოვნებით მიირთმევენ.

„სელტიკის“ ფანები უეჭველად გასინჯავენ სევილიურ ლუდს და თუ თასიც მოიგეს, ეგებ დიდი ლრეობაც გამართონ. შოტლანდიურმა კლუბმა საფინალოდ განსხვავებული მაისურები შეაკერინა და გულშემატკივრებმაც უცბად დაიტაცეს. ოთხი დღის განმავლობაში 35 ათასი ცალი გაიყიდა და გამარჯვების შემთხვევაში ეს ციფრი ალბათ ორჯერ გაიზრდება. გარდა ამისა, მათთვის, ვინც სევილიაში გაემგზავრა, საგანგებო სომბრეროები დაამზადეს, რომელიც სამიათასმა კაცმა უკვე გაიყოლა ესპანეთში.

დღეს მეტოქე გუნდების გულშემატკივრებს სტადიონიდან მოშორებით, მდინარის ორ მოპირდაპირე მხარეს დააბანაკებენ. პორტუგალიელები პუერტა ტრიანაში, შოტლანდიელები კი პრადო სან სებასტიანში შეიკრიბებიან. ორივე საბაზო წერტილი უზრუნველყოფილი იქნება საკვებ-სასმელით, ბილეთების მფლობელებს კი საგანგებოდ მომზადებული ავტობუსებით „ესტადო ოლიმპიკოსკენ“ წაიყვანენ.

„სელტიკის“ 50 ათასამდე ფანი სევილიას მოედება, რითაც გლაზგოელთა ფრანგი ლეგიონერი დიდიე აგატი ფრიად გახარებულია. „ეს მინი სელტიკ პარკი“ იქნება“ — თქვა მან.

არანაკლებ უხარია მარტინ ონილს: „სევილიელები გაოცებულნი არიან ჩვენი ქომაგების რაოდენობით. თავი გლაზგოში მგონია“.

„სელტიკის“ ბოსებმა თადარიგი დაიჭირეს და ქომაგებს თხოვნით მიმართეს, გლაზგოს აეროპორტში გუნდის დასახვედრად ნუ შეიკრიბებითო. კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა თქვა: „სამწუხაროდ, აეროპორტის კონსტრუქცია საშუალებას არ გვაძლევს, ფეხბურთელები გულშემატკივართა ზღვაში თავისუფლად გავატაროთ. ხალხმრავლობამ შეიძლება არეულობა და ჭყლეტვა გამოიწვიოს. ამიტომ, როგორც კი ფეხბურთელები თვითმფრინავიდან ჩამოვლენ, მათ სათადარიგო გასასვლელიდან გავიყვანთ“.

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS

სევილია „სელტიკის“ ფანებმა უკვე დაიპყრეს

## სელტიკი

20. რობერტ დუგლასი, 31 წლის. შოტლანდიის ნაკრების პირველმა მეკარემ აპრილში, სქოთურ პრემიერლიგაში „რეინჯერსთან“ მატჩისას ფეხი იტკინა. მას მერე საკმაო დრო კი გავიდა, მაგრამ ბოლომდე ჯერაც ვერ მომჯობინდა. „სელტიკის“ მეორე მეკარე, მაგნუს ჰედმანიც დაუშავდა, ამიტომ კლუბი იმედოვნებს, რომ დუგლასი ფინალამდე ფორმას აღიდგენს.

5. იოს ვალჲერენი, 27 წლის. ძლიერი ბელგიელი მცველი მარტინ ონილის სამკაცა დაცვაში მნიშვნელოვანი ფიგურაა. მოედანზე თავს არ ზოგავს და მუდამ შემართულია, თუმც ნაკლიც აქვს — ნელია, რის გამოც თავისუფალი სივრცის დროულად ამოკეტვა უჭირს.

6. ბობო ბალდე, 27 წლის. გიგანტი გვინეელი მცველი „სელტიკის“ დაცვის ბურჯია და გლაზგოელებმა ფინალამდე რომ მიაღწიეს, ამაში მისი გვარიანი წვლილიცაა. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ მეოთხედფინალში მან ფეხი არ გაანძრევინა ლივერპულელ მაიკლ ოუენს, რის მერეც გაზეთები წერდნენ, ბალდეს იტალიური „რომა“ ეპატიჟებაო.

35. იოჰან მიალბი, 32 წლის. შვედ მცველს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ტრავმიანობა დასჩემდა, თუმც კვლავაც რჩება გლაზგოელ გულშემატკივართა კერპად. ის ძველი ყაიდის მცველია და მოურიდებლად ებმევა ორთაბრძოლებში, თუმც ხანდახან, გადამწყვეტ მომენტში, შესაძლოა სისწრაფე დააკლდეს და მიუტევებელი შეცდომა დაუშვას.

17. დიდიე აგატი, 27 წლის. ბობო ბალდესთან და ჰენრიკ ლარსონთან ერთად ფრანგი ნახევარმცველი „სელტიკის“ მთავარ ღერძს შეადგენს. ხშირად ის მთავარ ფეხბურთელად იქცევა ხოლმე დაცვაშიც და შეტევაშიც. შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ სწორედ მისმა ბრწყინვალე თამაშმა შეიწირა „შტუტგარტი“ თასის გათამაშების მერვედფინალში.

18. ნილ ლენონი, 31 წლის. ჯერ კიდევ „ლესტერ სიტიში“ თამაშისას გაითქვა სახელი ზუსტი და ჭკვიანური პასების დარიგებით. მაგრამ ისაა, რომ ჩრდილოირლანდიელს ხანდახან ეს საქმე არ გამოსდის, რაც დიდ ზიანს აყენებს ხოლმე გუნდს.

14. პოლ ლამბერტი, 33 წლის. სქოთთა კაპიტანი ის კაცია, ვისაც 1997 წელს „დორტმუნდში“ თამაშისას ჩემპიონთა ლიგა მოუგია. ის ნახევარდაცვის სიღრმეში თამაშობს და ლენონთან ერთად თამაშის ტემპის გაკონტროლება ევალება. მაგრამ როცა ონილი სამი ფორვარდით თამაშობს, ლამბერტს სათადარიგოდ ყოფნა უწევს.

19. სტილიან პეტროვი, 23 წლის. ახლახან მას ბულგარეთის ნაკრების კაპიტნობა ჩააბარეს და არცთუ სოლიდური ასაკის მიუხედავად „სელტიკის“ ერთ-ერთ ყველაზე გამოცდილ ფეხბურთელად ითვლება. პეტროვი განსაკუთრებით საშიში მაშინაა, როცა ბურთის საჯარიმოში ჩაკიდებისას მეტოქე მცველებს ის სადღაც შორს ეგულებათ, ამ დროს კი უეცრად შეიჭრება და დასცხებს-ხოლმე.

8. ალან ტომპსონი, 29 წლის. ინგლისელი ნახევარმცველი „სელტიკამდე“ „ბოლტონსა“ და „ასტონ ვილაში“ თამაშობდა. უძლიერესი ცაცია აქვს და თერთმეტმეტრიანებსაც მას არტყმევინებენ.

9. კრის სატონი, 30 წლის. თავის დროზე, 8 წლის წინ „ბლექბერნმა“ ინგლისური პრემიერლიგა რომ მოიგო, მეტწილად სატონს უნდა უმადლოდეს. მერე ის „ჩელსიში“ თამაშობდა, ხოლო „სელტიკში“, როცა ის მოედანზე არაა, გლაზგოელთა იერიშებს მუდამ აკლია სიმწვავე. ის ბრწყინვალე პარტნიორობას უწევს ლარსონს და ნახევარდაცვაშიც საიმედოდ თამაშობს, როცა ალან ტომპსონი მოედანზე არ არის.

7. ჰენრიკ ლარსონი, 31 წლის. გულშემატკივართა მიერ „სელტიკის“ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელადაა აღიარებული. შვედი ფორვარდი დღევანდელი „სელტიკის“ ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავია და ხშირად მარტოკას მოუგია თამაშები. მისი გოლებით მოუგო ნახევარფინალში „სელტიკმა“ „ბოავიშტას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მდინარის თუ ზღვის პირას?

## ოუენს ბიტი მოუხდებაო, თქვა ულიემ და 12 მილიონი გაამზადა



ჯეიმს ბიტი

**ჰარი კიუელს** სიმამრი გარდაეცვალა და ამის გამო მისი მოლაპარაკებები „ლიდსთან" დროებით შეწყდა. 24 წლის ავსტრალიელი ფორვარდი საკუთარ კლუბს ხელფასის მომატებას თხოვდა და ამ ვაჭრობას თვალს „არსენალი" და „მანჩესტერ იუნაიტედი" ადევნებდნენ. არც „ლივერპულის" თავკაცი ჟერარ ულიე ყოფილა გულგრილი კიუელის მიმართ, თუმცა თუ ავსტრალიელმა იორკშირიდან წასვლა გადაწყვიტა, ყველაზე ნაკლებად სავარაუდო მისი სწორედ „ლივერპულში" გადასვლა ჩანს — სანამ ჰარი სიმამრს დაკრძალავს, მაიკლ ოუენს, შესაძლოა, უკვე ახალი მეწყვილე ჰყავდეს.

ლაპარაკი ჯეიმს ბიტიზე, „საუთჰემპტონის" მთავარი და პრემიერლიგის მესამე მეგოლე ამჟამად კვირაში 15 ათას გირვანქას შოულობს, „ლივერპული" ამ ხელფასის გასამმაგებას ჰპირდება, „საუთჰემპტონს" კი ბიტის სანაცვლოდ 12 მილიონს სთავაზობს. თითქოს უნაკლო წინადადებაა — „წმინდანთა" მწვრთნელ გორდონ სტრაჩანს ამ თანხად შემადგენლობის ერთი-ორად გაძლიერება შეუძლია, მაგრამ თასის ფინალისტი არ ჩქარობს. „საუთჰემპტონმა" ახლახან ისტორიაში ფინანსურად ყველაზე წარმატებული სეზონი გალია და ასე უცბად აღარაფერს ხარბდება. კლუბის თავმჯდომარემ რუპერტ ლოუმ სტრაჩანს უთხრა, შეგიძლია არავინ გაყიდო, ახალი მოთამაშეების შესაძენად ფულს ისედაც მოგცემო. ცხადია, ზღვისპირელები დიად ვარსკვლავებს ვერ შეეთამაშებიან, თუმცა სქოთი მწვრთნელი ამას არც ითხოვს. პირველი, ვისაც სტრაჩანმა თვალი დაადგა, 22 წლის მაროკოელი ჰინამ აბუშერუანი გახლავთ — აფრიკის წლის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელად მიჩნეული ფორვარდი სულ რაღაც მილიონნახევარი ღირს.

ამის მიუხედავად, „ლივერპული" ბიტისთან საუბარს მაინც განაგრძობს და ამის გამო „ოსერის" 10 მილიონად შეფასებულ ჯიბრილ სისესთან მოლაპარაკებებს დროებით თავი ანება — თურმე ულიე თვლის, რომ თავდასხმაში ოუენის პარტნიორად ბიტი სწორედ რომ იდეალური იქნება. თუ ეს გარიგება შედგა, მაშინ მდინარე მერსის სანაპიროებთან დამშვიდობება ნაღდად მოუწევს ემილ ჰესკის. 25 წლის ფორვარდის ამჟამინდელი ფასი ოდენ 5 მილიონია. არადა, სამი წლის წინ „ლესტერიდან" მისი ყიდვა 11 მილიონი გირვანქა დაჯდა.

**გიგა ძოზახიძე**



ლი ბოიერი

# გაჯორილები საჯორდეთში

სამი წლის წინ იყო, „ლიდსის" რამდენიმე ფეხბურთელს პაკისტანელი სტუდენტის შეურაცხყოფის გამო სასამართლოში წანწალი რომ მოუწია. მართალია, საქმე ციხემდე არ მისულა, მაგრამ ლიდსელი ვარსკვლავები საზოგადოებამ მაგრად შეჯორა, აყალმაყალის ერთ-ერთი მონაწილე ჯონათან ვუდგეიტი კი სასამართლომ დააჯარიმა კიდეც.

ახლა, მოგეხსენებათ, ვუდგეიტი ჯორდთა მხარეში, „ნიუკასლ იუნაიტედში" თამაშობს და იმ ინციდენტის გამო ინგლისის ნაკრებში დაკარგული ადგილის დაბრუნებას ცდილობს. მალე, შესაძლოა, მას ძველი მეგობარი და თანამეინახე ლი ბოიერიც შეუერთდეს.

26 წლის ნახევარმცველის ყიდვა სერ ბობი რობსონს იანვრის სატრანსფერო სეზონზეც სურდა, მაგრამ მაშინ თავად ბოიერმა იუარა საჯორდეთში წასვლა და იმ გუნდში გადავიდა, რომელსაც ბავშვობიდან გულშემატკივრობდა — „ვესტ ჰემ იუნაიტედში" — ოღონდ ჭკუა იხმარა და კონტრაქტი ისე გააფორმა, ლონდონელი „ჩაქუჩების" პრემიერლიგიდან გავარდნის შემთხვევაში თავისუფალი აგენტი ხდებოდა, ასეც მოხდა და ახლა ბოიერს ახალ გუნდში გადასასვლელად ხელფეხი ხსნილი აქვს.

ჰოდა, „ნიუკასლიც" დაფაცურდა: ჩემპიონატის გასრულებიდან ოთხ დღეში შეეხმიანა დასასვენებლად წასულ ბოიერს და გადასარევი პირობები შესთავაზა — 5-წლიანი კვირაში 40 ათასი გირვანქიანი კონტრაქტი. აბა, ასეთ სარფიან გარიგებაზე უარს ვინ იტყვის, მით უმეტეს, რომ „ნიუკასლი" შემდეგ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს, თანაც ბოიერის გელფრენდი წარმოშობით სწორედ ჯორდთა მხარიდანაა.

მოკლედ, სერ ბობი რობსონისა და ლი ბოიერის ურთიერთშეთანხმებას წინ აღარაფერი უდგას, გარდა ერთისა — ფეხბურთელს ოპერაცია ესაჭიროება, რათა ბოლო დროს დაშავებული კოჭი მოირჩინოს. თუ ნიუკასლელმა ექიმებმა ჩათვალეს, რომ ბოიერის კარიერას ამის გამო საფრთხე არ ემუქრება, საქმე უახლოეს მომავალში მოკვარახჭინდება.

ბოლოს შეგახსენებთ, რომ ლი ბოიერმა კარიერა ლონდონის „ჩარლტონში" დაიწყო, „ლიდსში" კი 1996 წელს გადავიდა და მაშინ მისი ფასი 2,8 მილიონი გირვანქა გასლდათ.

**გიგა ძოზახიძე**



თუ გახსოვთ, თავის დროზე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებს ჰალსტუხ-კოსტუმები მაკა ასათიანმა შეუკერა. ეს ისე, გაგვახსენდა. და გაგვახსენდა იმიტომ, რომ ინგლისის ნაკრებს ერთი ხელი გამოსასვლელი ტანისამოსი განთქმულმა იტალიელმა კუტურიე ჯორჯო არმანიმ შეუკერა

# დოპინგის ყლაპვა ინგლისურად

**ინგლისურ** ფეხბურთში დოპინგი ალკოჰოლს ეჯიბრებაო, განაცხადეს ტელეკომპანია BBC-ის მიმომხილველებმა. თურმე ამ ქვეყნის ფეხბურთელთა გვარიანი პროცენტი თავისი თამაშის გამოსაცოცხლებლად სწორედ მედიკამენტებს იშველიებს, ხოლო 33-მა პროცენტმა ძალიან კარგად იცის, რომელი კოლეგა რას აკეთებს.

BBC-ს ეს გამოკვლევა ლესტერის უნივერსიტეტის მავანი სპეციალისტის, ივან უადინგტონის ხელმძღვანელობით ჩატარებულა და ყველაფერთან ერთად აღმოჩენილა, რომ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია ერთს და იმავე მოთამაშეს დაახლოებით სამ წელიწადში ერთხელ ამოწმებს ლაბორატორიულად.

გამოკვლევა მოთამაშეთა ანონიმურ გამოკითხვას დაეყრდნო. ოთხმა პროცენტმა ბრძანა, რომ კლუბში რაღაც ნემსებს უკეთებენ ისე, რომ არეუბნებიან რა ნივთიერებაა შპრიცში.

გაზეთ „სანდი თაიმსის" ცნობით, პროფესიული ფეხბურთის ასოციაციის წევრებს, სულ 2863 კაცს, გამოკვლევის ორგანიზატორებმა 26 კითხვისგან შედგენილი ანკეტები დაურიგეს. თითოეულ კითხვას მრავალი შესაძლო პასუხი ჰქონდა. ხსენებულთაგან ანკეტა 637-მა შეავსო.

BBC-ს საინტერნეტო ვებ-ვერდზე სწერია: „თუ დავუშვებთ, რომ ინგლსურ ფეხბურთში სულ ეს 637 ადამიანი მოღვაწეობს, გამოვა, რომ მათგან 160 ძალღონეს აკრძალული პრეპარატების წყალობით იკრებს, რაც საკმარისია 15 გუნდის გამოსაყვანად. მეორე მხრივ, დოპინგის გამოყენებაზე ჯერ პრემიერლიგის ერთი მოთამაშეც არ ჩავარდნილა. ჩატარებული 6500 ანალიზიდან კი დადებითი შედეგი მხოლოდ 46-მა მისცა".

ერთი სიტყვით, აზრი, თითქოს სპორტის სხვა სახეობებთან შედარებით ფეხბურთი დოპინგისგან თავისუფალია, როგორც ირკვევა მცდარია.

არადა, როგორც ფეხბურთის ასოციაციის ანტიდოპინგური კომიტეტის პროგრამის შეფი, ალან ჰოდსონი ამბობს, ინგლისში ყოველწლიურად 1200 ტესტი ტარდება, ტესტისგან თავისუფალი ერთი დღეც არ არის და ეს ორჯერ აღემატება გერმანიისა და საფრანგეთის მაჩვენებელს. 5 000 ტესტზე მეტს მხოლოდ იტალიელები ატარებენ.

**პაპუნა ძიდია**


სიახლე საქართველოში!

35 000 ნახატი, ნომრები სპორტულ მაისურებზე, წარწერები,
აირჩიეთ და დაიხატეთ თქვენს და ჩვენს სამოსზე
გთავაზობთ უცხოური წარმოების სხვადასხვა მოდელის,
ფერის და ზომის მაისურებს მრავალნაირი აპლიკაციით,
საცალო და საბითუმო ფასებში

სარო-არტპრინტი
ვაჟა ფშაველას 91
53-76-82 899 56-18-49

# მხიარული ბუნდესავტობუსი
## ღვინო, მუსიკა, ქალი

*მიუნხენის „ბაიერნმა“ ბუნდესლიგა ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე მოიგო და უახლოეს მდევარი გვარიანად ჩამოიშორა. „ეს კლუბის ყველა სტრუქტურის გამართული მუშაობის შედეგია“ — თქვა ფრანც ბეკენბაუერმა და მათ შორის... ავტობუსიც იგულისხმა, რომელითაც ბავარიელები გერმანიის გზებზე დაიარებიან.*



ასე მოლხენა ბაიერნელებს კლუბის ავტობუსშიც შეუძლიათ

„ბაიერნი“ ქვეყანაში „მერსედეს ბენც 0580 ტრავეგო“ მარკის ავტობუსით მოგზაურობს, რომელიც 475 ათასი ევრო ღირს. იგი გუნდისთვის 2000 წლის დეკემბერში შეიძინეს და ოთხ-ხუთ წელიწადში ერთხელ იცვლიან.

ავტობუსის ინტერიერის მოსაწყობად ათი კაცი მუშაობდა, კლუბს მათი მომსახურეობა 125 ათასი ევრო დაუჯდა. სავარძლები შავი ტყავითაა შემოსილი, რომელიც მზის სხივების მოქმედებისგანაც დაცულია და ცვალებადი ტემერატურისგანაც სალონს. ტელევიზორი, ვიდეო, ყურსასმენები და DVD-ის მოსასმენი აპარატურა ამშვენებს. გარდა ამისა სალონში დამონტაჟებულია ოთხი მაგიდა და ბანქოს თამაშის მოყვარულებს მგზავრობისას გართობა შეუძლიათ.

თუმცა ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ მძღოლი... ქალბატონი გახლავთ. 34 წლის სანდრა კენიგი საფეხბურთო კლუბ „ბაიერნში“ 14 წელიწადია მუშაობს. თავიდან ფეხბურთზე მოსაწყენი სპორტი არ მეგულებოდა — თქვა სანდრამ — და დაახლოებით ხუთი წლის მანძილზე „ბაიერნის“ ერთი მატჩიც კი არ მინახავს“ — მოგვიანებით მძღოლი მიუნხენელთა ქომაგი გახდა, ახლა მატჩს არ აცდენს.

ავტობუსში სუპერთანამედროვე სამზარეულოც არის, მზარეული კი თავად სანდრა კენიგია. იგი ექიმ-დიეტოლოგებისა და მწვრთნელების რჩევების მიხედვით კვებავს ფეხბურთელებს. იშვიათად, რომ ბიჭებს მათი საყვარელი ყველიანი ან ხორციანი ბუტერბროდები ჩამოურიგოს. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება, თუ გუნდი მნიშვნელოვან გამარჯვებას ზეიმობს, ან პირიქით — მნიშვნელოვანი მატჩში დამარცხებულ ნერვების დაწყნარება და განტვირთვა სჭირდებათ.

„ჩვენი სამზარეულო ნებისმიერი ქალის ოცნებას დააკმაყოფილებს — თქვა მძღოლმა — ფეხბურთელთა რაციონში უხვად არის მაკარონი, ბოსტნეული, ხოლო ხორცი უმეტეს წილად ქათმისაა ან ხბოსი. დესერტად ყავა და ღვეზელი გვაქვს, რომელსაც ყველა ფეხბურთელი სიამოვნებით მიირთმევს.“

სანდრა კენიგის კიდევ ერთი მოვალეობაა აუდიო კასეტების ცვლა. „ბიჭებს უფრო პოპ მუსიკა უყვართ. როკ-მუსიკას იშვიათად ითხოვენ. ამის გამო კონფლიქტები, ფაქტობრივად, გამორიცხულია. თუმცა, როცა სამუელ კუფურს თავისი რეპის მოსმენა მოუხუშტურდება, დანარჩენები აპროტესტებენ. ასეთ შემთხვევაში ბოლო სიტყვა ული ჰიონესს ეკუთვნის. რასაც ის შეუკვეთავს, ყველანი უსმენენ, ძირითადად 70-80-იანი წლების ჰიტებს“.

ული ჰიონესი და ოტმარ ჰიცფელდი მძღოლის უკანა სკამზე სხდებიან. ჰიცფელდს ყოველთვის თან დააქვს თბილი მოსასხამი, რადგან გზად ხშირად აციებს. ული ჰიონესი კი გასათბობად წითელ ღვინოს მიირთმევს.

საპირისპირო მხარეს კარლ-ჰაინც რუმენიგე და მწვრთნელის თანაშემწე მიხაელ ჰენკე ნებივრობენ. ჰენკეს მგზავრობის ორგანიზება ევალება, რუმენიგე კი ჰიონესს ჭიქას ჭიქაზე უჭახუნებს, მარტო კაცი ღვინის სმაში ბრალიაო.

ხორვატი ძმები რობერტ და ნიკო კოვაჩები გვერდიგვერდ სხედან. საგულისხმოა, რომ ისინი მეტწილად გერმანულად საუბრობენ და აქა-იქ მშობლიურსაც გაურევენ. როცა სასაუბრო თემას ამოწურავენ, ხან მუსიკით ტკბებიან, ხანაც თანაგუნდელთა წამოწყებულ ბანქოს თამაშს ადევნებენ თვალს.

ბანქოს ყველაზე დიდი მოყვარული მასაჟისტი ფრედი ბინდერია. ტორსტენ ფინკე და მეჰმეთ შოლი ბინდერის კომპანიონები არიან, ეს სამეული ხანდახან ჰიონესსაც ეპატიჟება სათამაშოდ, მაგრამ მას არასდროს უმართლებს და ხშირად აგებს.

მეჰმეთ შოლს გვერდს ტომას ლინკე უმშვენებს. შოლი ავტობუსში სხვებზე ადრე ადის და სანდრას კომპლიმენტებს არ აკლებს. მათი დიალოგი მგზავრობის დროსაც გრძელდება. ლინკე მშვიდი კაცია და თავს ჟურნალ-გაზეთების კითხვით იქცევს.

მიხაელ ბალაკი ნაპირა სკამზეა მოკალათებული, რათა ფეხები ადვილად გადმოალაგოს გასასვლელში. მის გვერდზე, რა თქმა უნდა, მეგობარი ზე რობერტო ისვენებს. ბრაზილიელს სიწყნარე უყვარს, თუმცა ლათინოამერიკული ჰანგების გაგონებაზე ისიც ხალისობს.

მას შემდეგ, რაც პაბლო ტიამი „ვოლფსბურგში“ გადავიდა, სამუელ კუფურს თანამგზავრი აღარ ჰყავს და მარტო ნებივრობს. ეს პრივილეგიად ითვლება.

კუფურის წინ სავარძელზე ასევე ეულადაა ოლივერ კანი.

ჰასან სალიჰამიჯიჩი და იენს იერემისი ყველაზე ქოთქოთა წყვილია. განსაკუთრებით იერემისი აქტიურობს და თავისი დახვეწილი იუმორით თანაგუნდელებს ართობს. სანდრას მიაჩნია, რომ იერემისისგან კარგი კომიკოსი მსახიობი დადგებოდა.

ავტობუსში ავტონომია აქვთ როკე სანტა კრუზს და კლაუდიო პიზაროს. ისინი ერთმანეთს ესპანურად ესაუბრებიან. პიზარო გაზეთების მოყვარულია, სანტა კრუზი კი — მუსიკის.

მუსიკის დიდი მოყვარულია ჯოვანი ელბერიც ჩართავს და ხმას ბოლომდე აუწევს, ისე, რომ ავტობუსის მინები ხანდახან ზანზარებს. მისი სკამის მეწყვილე მარკუს ფლეინერი გუნდთან ერთად იშვიათად მგზავრობს, რადგან სამხედრო სამსახურში გაიწვიეს.

სათადარიგო მეკარე ბერნად დრეერი იუმორის გრძნობით იენ იერემისს არ ჩამოუვარდება დრეერს გვერდით ციკლერი უზის, რომელსაც მეგობრის ხუმრობაზე პირის დალება და სიცილი არ ეზარება.

ვილი სანიოლი და ბიქსენტ ლიზარაზუ ყველაზე სიტყვაძუნწები არიან. ბასკი სულ მუსიკას უსმენს, სანიოლი კი არც კითხულობს, არც თამაშობს, არც მუსიკას ეტანება. მგზავრობისას ფანჯარას მიშტერებია და ხმას არ იღებს.

მარცხენა რიგის ბოლო წყვილი ოუენ ჰარგრივსი და შტეფან ვესელსია. ვესელსი გამუდმებით კითხულობს, ინგლისელი კი ერთადერთია, ვინც საკუთარი ადგილის დანიშვნა მოიფიქრა. მან სავარძელს წებოვანი ქაღალდი მიაკრა.

**ვაჟა ხუციშვილი**



REUTERS მოვლენები

ოლივერ კანმა და ოტმარ ჰიცფელდმა გუშინ ახალი სტადიონის, „ალიანს არენას“ მშენებლობა ინახულეს და თავი ჩაფხუტებითაც დაიცვეს

## არგენტინა
### კლაუსურა

გადადებული მატჩები: ჩაკარიტა — უნიონი 1:1; კოლონი — ბანფილდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 9 | 1 | 2 | 20:8 | 28 |
| ველესი | 12 | 9 | 1 | 2 | 19:7 | 28 |
| რივერ პლეიტი | 12 | 8 | 3 | 1 | 25:9 | 27 |
| როსარიო | 12 | 6 | 4 | 2 | 22:14 | 22 |
| რასინგი | 12 | 5 | 3 | 4 | 16:13 | 18 |
| ნუევა ჩიკაგო | 12 | 5 | 3 | 4 | 21:19 | 18 |
| ხიმნასია | 12 | 5 | 3 | 4 | 17:19 | 18 |
| ლანუსი | 12 | 5 | 2 | 5 | 16:15 | 17 |
| კოლონი | 12 | 3 | 7 | 2 | 9:8 | 16 |
| ოლდ ბოიზი | 12 | 4 | 4 | 4 | 17:19 | 16 |
| ოლიმპო | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ესტუდიანტესი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:16 | 15 |
| უნიონი | 12 | 3 | 5 | 4 | 14:13 | 14 |
| სან ლორენსო | 12 | 3 | 4 | 5 | 16:21 | 13 |
| ინდეპენდიენტე | 12 | 3 | 4 | 5 | 11:18 | 13 |
| არსენალი | 12 | 2 | 6 | 4 | 4:8 | 12 |
| ბანფილდი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |
| ტალიერესი | 12 | 3 | 3 | 6 | 11:16 | 12 |
| ჩაკარიტა | 12 | 2 | 3 | 7 | 8:15 | 9 |
| ურაკანი | 12 | 0 | 3 | 9 | 10:29 | 3 |

## პორტუგალია
### I ლიგა. XXXII ტური

სეტუბალი 2:2 ბრაგა

1:0 ჟორჟინიუ (3), 2:0 მეიონგი (18პ), 2:1, 2:2 ჟოზე ბაროსო (82პ, 87)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 32 | 26 | 4 | 2 | 70:25 | 82 |
| ბენფიკა | 32 | 21 | 6 | 5 | 68:27 | 69 |
| სპორტინგი | 32 | 17 | 8 | 7 | 49:32 | 59 |
| გიმარაეში | 32 | 14 | 8 | 10 | 47:40 | 50 |
| ლეირია | 32 | 12 | 9 | 11 | 44:44 | 45 |
| ჟილ ვისენტე | 32 | 13 | 5 | 14 | 40:47 | 44 |
| ფერეირა | 32 | 11 | 9 | 12 | 37:44 | 42 |
| ბელენენსეში | 32 | 11 | 8 | 13 | 46:47 | 41 |
| მარიტიმუ | 32 | 12 | 5 | 15 | 33:46 | 41 |
| ბოავიშტა | 32 | 9 | 13 | 10 | 31:30 | 40 |
| ნასიონალი | 32 | 9 | 12 | 11 | 40:45 | 39 |
| ბრაგა | 32 | 8 | 13 | 11 | 33:45 | 37 |
| მორეირენსე | 32 | 8 | 11 | 13 | 38:43 | 35 |
| ვარზიმი | 32 | 10 | 5 | 17 | 36:46 | 35 |
| სანტა კლარა | 32 | 8 | 10 | 14 | 36:49 | 34 |
| ბეირა მარი | 32 | 8 | 9 | 15 | 40:50 | 33 |
| აკადემიკა | 32 | 6 | 13 | 13 | 34:48 | 31 |
| სეტუბალი | 32 | 5 | 12 | 15 | 35:49 | 27 |

## შვედეთი
### VI ტური

ჰამარბი 1:1 გიოტებორგი

ლანდსკრონა 1:2 აიკ

იორგრიტე 2:0 იორებრო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იურგორდენი | 7 | 6 | 0 | 1 | 19:1 | 18 |
| აიკ | 7 | 5 | 1 | 1 | 15:6 | 16 |
| ჰამარბი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:5 | 15 |
| ჰელსინგბორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 8:6 | 11 |
| იორებრო | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | 10 |
| მალმიო | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 9 |
| ლანდსკრონა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:7 | 9 |
| იორგრიტე | 7 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 |
| ჰალმსტადი | 6 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| ისტერი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| გიოტებორგი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:7 | 6 |
| სუნდსვალი | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:13 | 5 |
| ენკოპინგი | 7 | 0 | 1 | 6 | 2:19 | 1 |


რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბავშვო ბაღი ბირმინგემშიც მოუნდათ
## ოლირი სამწლიანზე მიდის



ბირმინგემის „ასტონ ვილამ" გუშინ ახალი მწვრთნელის ვინაობა გამოამზეურა — დევიდ ოლირი.

კლუბის თავმჯდომარე დოუგ ელისმა და მწვრთნელმა არცთუ ხანგრძლივი ჭიდილის შემდეგ მიაღწიეს შეთანხმებას — „ასტონ ვილამ" და ოლირმა სამწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

ოლირმა, როგორც ფეხბურთელმა, ლონდონის „არსენალში" და ირლანდიის ნაკრებში თამაშით დაიგდო სახელი — ის ცენტრალური მცველი გახლდათ და მერე სამწვრთნელო კარიერა აირჩია.

1998 წელს ოლირმა „ლიდს იუნაიტედი" ჩაიბარა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ახალგაზრდა, გამოუცდელი, მაგრამ ნიჭიერი და ჟინიანი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა 2000-2001 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდეც მიაღწია. „ლიდსს" მაშინ დევიდ ოლირის საბავშვო ბაღიც კი შეარქვეს.

მაგრამ მომდევნო სეზონში იორკშირულმა კლუბმა ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვა და ოლირიც „ლიდსიდან" მიაბრძანეს.

ახლა ოლირი 45 წლის გახლავთ და მისგან სწორედ იორკშირული ოინების გახსენებას ელიან — „ასტონ ვილა" ახალი ფეხბურთელების შეძენაში დიდ ფულს ვერ დახარჯავს და მწვრთნელს ძირითადად ჯეელებით მოუწევს ჭაპანის გაწევა.

„ასტონ ვილა" ოცგუნდა პრემიერლიგიდან გავარდნას ძლივს გადაურჩა — მე-16 ადგილზე გავიდა და მომდევნო სეზონში რამდენიმე საფეხურით ახტომა განუზრახავს. ვილელებმა ოლირის სახით ბოლო ოც წელიწადში მეათე მენეჯერი მიიწვიეს.

**დავით თაგართქილაძე**



# შემდეს მინდს რონალდო
## ზიკომ არ იცის, როდის დაჭირდება ბრაზილიას

ზიკომ ფეხბურთელობისას სამჯერ სცადა, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი ვერ გახდა. ახლა იაპონიის ნაკრების მწვრთნელია და ვინ იცის, იქნებ ოდესმე ბრაზილიის ეროვნული გუნდის გაძღოლაც შესთავაზონ, ოღონდ, როგორც თავად ამბობს, 2006 წლამდე არც მსოფლიოს ჩემპიონობა სურს და არც ის ალიაქოთი, ბრაზილიის ნაკრების გაძღოლას რომ სდევს.

„არასოდეს თქვა არასოდეს. ბრაზილიის ნაკრების გაწვრთნა ფეხბურთში ერთ-ერთი უმაღლესი საქმე თუ მოვლენაა და ამიტომ კატეგორიულად არაფერს განვაცხადებ. ამწუთას მხოლოდ იაპონიაზე ვფიქრობ. მთელი ძალ-ღონე იაპონიის გუნდის 2006 წლის ჩემპიონატზე გაყვანისკენ მაქვს მიმართული. მინდა იქ, გერმანიაშიც მივაღწიო კარგ შედეგს და მერე ჩაო. შემდეგ რა მოხდება, ამაზე ახლა არ ვფიქრობ. ზეწოლა კი იაპონიის ნაკრების მწვრთნელსაც არ აკლია. თუმცა, ბრაზილიაში მეტისმეტია, მე, მაგალითად, ჩემს სამშობლოში მუშაობა უფრო არ მინდა, ვიდრე მინდა, მაგრამ ფეხბურთი ისეთი სფეროა, არასდროს იცი, რა მოხდება" — განაცხადა ზიკომ სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

ზიკოს ბრაზილიის ნაკრებში 78 შეხვედრაში 54 გოლი აქვს გატანილი. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მისი კარიერის მწვერვალი 1982 წელს შედგა, როდესაც ფავორიტად შერაცხული ბრაზილიელები იტალიელებმა 3:2 დაამარცხეს. 50 წლის ვარსკვლავი 1998 წელს, საფრანგეთში, მარიო ზაგალოს მარჯვენა ხელი იყო და იქ ბრაზილია, მოგეხსენებათ, მეორე ადგილზე გავიდა.

„82-ში ბრაზილიას დიდი ნაკრები ჰყავდა — ამბობს ზიკო — იმ დროს მსოფლიოში საუკეთესონი ვიყავით, მაგრამ იტალიელებს ჩვენზე მეტი სატურნირო სიბრძნე აღმოაჩნდათ. ჩვენთან შეხვედრამდე მათ მხოლოდ ერთი თამაში ჰქონდათ მოგებული, თუმცა დაგროვებული ენერგია ყველაზე საჭირო დროს დახარჯეს. იტალიასთან თამაშის დღეს ჩვენი, ბევრი გოლის გამტანი გუნდი უკვე დაღლილი იყო".

შემდეგ ზიკოს მაშინდელი და დღევანდელი ბრაზილიის ნაკრებების შედარება სთხოვეს. მან მიუგო:

„მათ მსოფლიოს ჩემპიონატში გაიმარჯვეს, ჩვენ ვერა. 1982-ში ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, ვიტყოდი, რომ ჩვენი გუნდი სჯობდა, მაგრამ, ვინაიდან დავმარცხდით, შედარება უსამართლობად მიმაჩნია. ახლა ბრაზილიას ჩინებული გუნდი ჰყავდა, დაცვასა და თავდასხმას შორის ბრწყინვალე ბალანსით. მერედა, ოთხი წლის წინანდელი მარცხი გულში ჰქონდათ ჩარჩენილი, იცოდნენ, რომ მსოფლიოსთვის თავიანთი სიძლიერე ჰქონდათ დასამტკიცებელი. წარმოიდგინეთ, 82-ში რონალდო რომ გვყოლოდა, უიმე! მისი ტექნიკა და ღონე, აგრეთვე მნიშვნელოვანი გოლების გატანის უნარი..."

გეხსომებათ, 1982 წლის ბრაზილიის ნაკრების ტლანქი ცენტრფორვარდი სერჟინიო გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი იყო.

რონალდოსა და ზიკოს კი „საერთო" ნატკენი მუხლი აქვთ.

„1986 წელს ნაკრებში თამაშის ძალა არ შემწევდა, მაგრამ ფეხბურთის კონფედერაციიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ სამშობლოსთვის თავი უნდა მეიძულებინა. მეც აღარ ჩავრგე ბალიშში თავი, ავდექი და ჩემი მუხლით, რაც შემეძლო გავაკეთე. ალბათ, განგებამ ინება ასე". — განაცხადა ზიკომ, ხოლო, როდესაც ინგლისელმა ჟურნალისტმა ბექჰემზე ჰკითხა, მიუგო:

„მას მანძილის ჩინებული შეგრძნება და ძლიერი დარტყმა აქვს. ბექემი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია საჯარიმოების შესრულებაში, მაგრამ რამდენიმე საჯარიმო მეც გამიტანია. არ მინდა ტრაბახა კაცად მოგეჩვენოთ, მაგრამ ვფიქრობ, მეც მისი დონის ფეხბურთელი ვიყავი".

**ბაჩუნა ძიძია**

# ბევრი 1:1

**ბრაზილია**

**მე-9 ტური: ფლუმინენსე — ფიგეირენსე 3:0; სან კაეტანო — ატლ. მინეირო 2:0; ჟუვენტუდე — სანტოსი 1:1; ბაია — პაისანდუ 2:0; კურიტიბა — ვასკუ და გამა 1:1; ფორტალეზა — გოიასი 1:0; კრუზეირო — კორინთიანსი 1:1; პონტე პრეტა — გრემიო 2:1; კრისიუმა — ვიტორია 1:1; ინტერნასიონალი — ატლ. პარანენსე 1:1; სან პაულუ — პარანა 2:0; ფლამენგო — გუარანი 1:1**

ამ უქმეებზე ჩატარებული საერთობრაზილიური ჩემპიონატის 12 მატჩიდან ექვსი ერთნაირი ანგარიშით, 1:1 დასრულდა და ხალხმაც ოხუნჯობა დაიწყო, ფეხბურთია თუ ერთით ერთების კარნავალიო. კარნავალები კი, მოგეხსენებათ, ბრაზილიაში დიდ გასავალშია.

მაგრამ ჩვენ რა გვეკარნავალება, სჯობს ის ვთქვათ, რომ „კრუზეიროს" მძლეველი გუნდი წლეულს ჯერ არ გამოჩენილა და ესეც ლაღად დგას პირველ ადგილზე.

„კრუზეიროს" მეტოქე „კორინთიანსი" იყო, ვინაც მასხრად აგდებული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ერთადერთი გამარჯვებულია, წლეულს კი ლიბერტადორესის თასის მოგება ჰქონდა გულში ამოჭრილი. მაგრამ ვაი, რომ „კორინთიანსი" მერვედფინალიდან „რივერ პლეიტმა" გააგდო, მისმა მწვრთნელმა ჟუნინიომ კი თქვა, რა ვუყოთ, მაგრამ ახლა ორად გაჭრა აღარ მოგვიხდება და ბრაზილიის ჩემპიონატს მთელი გულისყურით მოვეკიდებითო.

თამაშიც „კორინთიანსის" გოლით დაიწყო. უილმა გაიტანა და ეს გოლი „კორინთიანსისთვის" მეათასე გამოდგა საერთობრაზილიურ ჩემპიონატებში, რომელიც სათავეს 1971 წლიდან იღებს. მაგრამ „კორინთიანსმა" მაინც ვერ მოიგო და ვანდერლეი ლუშემბურგოს დამოძღვრილებმა გათანაბრება შეძლეს.

„კრუზეიროს" ფრით კი ვერ ისარგებლა „ინტერნასიოლმა", რაკი ერთით ერთების კარნავალს თავადაც შეუერთდა და ამ ანგარიშით დაუზავდა „ატლეტიკო პარანანსეს". არადა, რომ მოეგო, ლიდერს დაეწეოდა. აქვე შეგახსენებთ, რომ „ინტერნასიონალს" წესით 17 ქულა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ფედერაციისგან ორი ქულა ნაჩუქარი აქვს.

კარნავალის მონაწილე იყო ემერსონ ლეაოს „სანტოსიც", ვინაც „ჟუვენტუდეს" სტუმრობდა. სანტოსელებს ეგებ მოეგოთ კიდეც, მაგრამ გუნდი ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალში მექსიკურ „კრუს ასულთან" სათამაშოდ ემზადება და ლეაომ ყმაწვილი ვუნდერკინდი დიეგუ დაასვენა.

**ძოტე ძეძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 9 | 6 | 3 | 0 | 26:12 | 21 |
| ინტერნასიონალი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:10 | 19 |
| სანტოსი | 9 | 4 | 3 | 2 | 15:8 | 15 |
| სან პაულუ | 9 | 4 | 3 | 2 | 20:18 | 15 |
| ატლ. მინეირო | 9 | 4 | 2 | 3 | 16:13 | 14 |
| პარანა | 9 | 4 | 2 | 3 | 15:12 | 14 |
| ფლამენგო | 9 | 3 | 5 | 1 | 13:10 | 14 |
| კორინთიანსი | 9 | 3 | 4 | 2 | 19:14 | 13 |
| სან კაეტანო | 9 | 3 | 4 | 2 | 12:11 | 13 |
| ფლუმინენსე | 9 | 3 | 4 | 2 | 11:10 | 13 |
| გუარანი | 9 | 3 | 3 | 3 | 15:12 | 12 |
| ვიტორია | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | 12 |
| ატლ. პარანენსე | 9 | 3 | 2 | 4 | 14:15 | 11 |
| კურიტიბა | 9 | 3 | 2 | 4 | 11:12 | 11 |
| გრემიო | 9 | 3 | 2 | 4 | 10:11 | 11 |
| ბაია | 9 | 3 | 2 | 4 | 12:14 | 11 |
| ვასკუ და გამა | 9 | 2 | 4 | 3 | 15:17 | 10 |
| ჟუვენტუდე | 9 | 1 | 4 | 4 | 8:19 | 10 |
| პონტე პრეტა | 9 | 3 | 4 | 2 | 13:14 | 9 |
| პაისანდუ | 9 | 2 | 3 | 4 | 17:23 | 9 |
| კრისიუმა | 9 | 2 | 3 | 4 | 11:17 | 9 |
| ფორტალეზა | 9 | 2 | 3 | 4 | 7:13 | 9 |
| ფიგეირენსე | 9 | 1 | 4 | 4 | 10:14 | 7 |
| გოიასი | 9 | 1 | 3 | 5 | 18:20 | 6 |



„სანტოსის" ყრმა ვარსკვლავმა დიეგუმ ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩი მექსიკურ „კრუს ასულთან" შეხვედრისთვის გამოტოვა



# კუმანი სიტყვის კაცია, აიაქსში რჩება

„აიაქსის" მწვრთნელმა, რონალდ კუმანმა აღიარა, რომ ესპანური „ბარსელონას" პრეზიდენტობის კანდიდატთა უმეტესობამ კატალონიაში მწვრთნელად ჩასვლა სთხოვა.

„მაგრამ მე „აიაქსთან" ვარ სიტყვით შეკრული და 2004 წლამდე, ანუ კონტრაქტის ბოლომდე ვერსად წავალ. „აიაქსში" ყველამ იცის, რომ „ბარსას" სიამოვნებით ჩავუდგებოდი სათავეში, ოღონდ სიტყვას ვერ გავტეხ. ორწელიწადნახევარი ამსტერდამში უნდა გავატარო" — განაცხადა კუმანმა.

მოგეხსენებათ, „აიაქსის" მწვრთნელი ბარსელონაში გმირის სტატუსით სარგებლობს. სწორედ მან გაიტანა 1992 წელს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში, „სამპდორიას" კარში გადამწყვეტი გოლი და დღეს ბევრს მხსნელად მიაჩნია...

ბოლო დღეებში კატალონიურმა პრესამ მაინც ჯიუტად გაავრცელა ხმა, რომ „ბარსას" პრეზიდენტობის კანდიდატთაგან ერთ-ერთი, გამარჯვების შემთხვევაში კუმანს ამსტერდამში დადებულ სიტყვას გაატეხინებს.

**ბაჩუნა ძიძია**

Copa Toyota Libertadores '2003

**ლიბერტადორესის თასი 2003**

**მეოთხედფინალის ფილისყრა. 1 მატჩები**

**წუხელ**

**რივერ პლეიტი (არგენტინა) — ამერიკა (კოლუმბია)**

**დღეს**

**კობრელოა (ჩილე) — ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)**
**კრუზ ასული (მექსიკა) — სანტოსი (ბრაზილია)**

**ხვალ**

**გრემიო (ბრაზილია) — ინდეპენდიენტე მედელინი (კოლუმბია)**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ


### გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIV ტური

**24 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | დორტმუნდი-კოტბუსი | 1,03 | 7,0 | 15,0 | 1 | 1 | 4,77 |
| 18.30 | 002 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,55 | 3,3 | 5,6 | 1,05 | 1,21 | 2,07 |
| 18.30 | 003 | შალკე-ბაიერნი | 2,0 | 3,4 | 3,0 | 1,25 | 1,2 | 1,59 |
| 18.30 | 004 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,37 | 1,3 | 1,37 |
| 18.30 | 005 | არმინია-ჰანოვერი | 1,5 | 4,0 | 5,0 | 1,09 | 1,15 | 2,22 |
| 18.30 | 006 | ჰამბურგი-ჰანზა | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1,15 | 1,28 | 3,21 |
| 18.30 | 007 | მიუნხენი-ბოხუმი | 1,7 | 3,4 | 4,0 | 1,13 | 1,19 | 1,83 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-კაიზერსლაუტერნი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXIV ტური

**25 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | ტრირი-უნიონი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 011 | კარლსრუე-ფიურტი | 2,3 | 3,3 | 2,3 | 1,35 | 1,15 | 1,35 |
| 18.00 | 012 | დუისბურგი-ფრაიბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 18.00 | 013 | ალემანია-სტ.პაული | 1,6 | 3,5 | 4,6 | 1,09 | 1,18 | 1,98 |
| 18.00 | 014 | აინტრახტი-როიტლინგენი | 1,35 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,11 | 2,47 |
| 18.00 | 015 | ლიუბეკი-ვალდჰოფი | 1,5 | 3,8 | 5,0 | 1,07 | 1,15 | 2,15 |
| 18.00 | 016 | ბრაუნშვაიგი-მაინცი | 2,5 | 3,4 | 2,15 | 1,44 | 1,15 | 1,31 |
| 18.00 | 017 | ბურგჰაუზენი-კიოლნი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XXXII ტური

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 019 | ურდინგენი-ესენი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.00 | 020 | ლევერკუზენი(მ)-ჰამბურგი(მ) | 2,35 | 3,4 | 2,05 | 1,38 | 1,09 | 1,27 |
| 22.30 | 021 | კიოლნი(მ)-დინამო | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 17.00 | 022 | აუე-კილი | 1,15 | 3,5 | 6,0 | 1 | 1 | 2,21 |
| 17.00 | 023 | პადერბორნი-ვატენშაიდი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| 17.00 | 024 | ვერდერი(მ)-მიუნსტერი | 1,95 | 3,4 | 3,2 | 1,23 | 1,21 | 1,64 |
| 17.00 | 025 | ოსნაბრიუკი-ფერლი | 1,4 | 4,0 | 6,0 | 1,03 | 1,13 | 2,4 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXXVI ტური

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 028 | ერფურტი-ოფენბახი | 1,75 | 3,3 | 4,0 | 1,14 | 1,21 | 1,8 |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 029 | ზაარბრიუკენი-რეგენსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 17.30 | 030 | შვაინფურტი-ვეენი | 2,15 | 3,3 | 3,1 | 1,3 | 1,26 | 1,59 |
| 17.30 | 031 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 17.30 | 032 | ფულენდორფი-ბაიერნი(მ) | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 036 | ზიგენი-ჰოფენჰაიმი | 1,85 | 3,4 | 3,2 | 1,19 | 1,17 | 1,64 |

### ინგლისი. I დივიზიონი

**პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)**

**26 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 037 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |

### ინგლისი. II დივიზიონი

**პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)**

**25 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 038 | კარდიფი-ქუინს პარკი | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |

### ინგლისი. III დივიზიონი

**პლეი-ოფი. ფინალი (კარდიფში)**

**24 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 039 | ბორნმუთი-ლინკოლნი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXXV ტური

**24 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 072 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 23.00 | 073 | ბილბაო-რასინგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 24.00 | 074 | სელტა-დეპორტივო | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 00.30 | 075 | ვალენსია-რეალი | 2,7 | 3,1 | 2,45 | 1,44 | 1,28 | 1,36 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 076 | ესპანიოლი-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 077 | მალიორკა-სევილია | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 21.00 | 078 | რაიო-ოსასუნა | 2,45 | 3,2 | 2,25 | 1,38 | 1,17 | 1,32 |
| 22.00 | 079 | უელვა-ბარსელონა | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 23.00 | 080 | ბეტისი-ვალიადოლიდი | 1,8 | 3,1 | 4,4 | 1,13 | 1,27 | 1,81 |
| 24.00 | 081 | მალაგა-სოსიედადი | 3,3 | 3,2 | 2,1 | 1,62 | 1,28 | 1,26 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. XXXVII ტური

**24 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 082 | ალბასეტე-კომპოსტელა | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 21.30 | 083 | ლას პალმასი-ლევანტე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 15.00 | 084 | სერესი-სარაგოსა | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 15.00 | 085 | ლეგანესი-ოვიედო | 2,1 | 2,8 | 3,4 | 1,19 | 1,29 | 1,53 |
| 21.00 | 086 | ბადახოსი-ტერასა | 2,15 | 2,8 | 3,6 | 1,21 | 1,34 | 1,57 |
| 21.00 | 087 | სალამანკა-ტენერიფე | 2,2 | 2,7 | 3,6 | 1,21 | 1,36 | 1,54 |
| 21.00 | 088 | ეხიდო-ფეროლი | 1,9 | 3,0 | 4,0 | 1,16 | 1,28 | 1,71 |
| 21.00 | 089 | ელჩე-ალმერია | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| 21.00 | 090 | კორდობა-მურსია | 2,8 | 2,8 | 2,6 | 1,4 | 1,34 | 1,34 |
| 21.00 | 091 | ნუმანსია-ეიბარი | 2,0 | 2,8 | 4,0 | 1,16 | 1,33 | 1,64 |
| 22.00 | 092 | სპორტინგი-ხეტაფე | 2,1 | 2,7 | 4,0 | 1,18 | 1,37 | 1,61 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. XXXVIII ტური

**23 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 119 | ბოვე-შატორუ | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.30 | 120 | კრეტეი-ნანსი | 1,5 | 3,2 | 5,0 | 1,02 | 1,15 | 1,95 |
| 23.30 | 121 | ლე მანი-ამიენი | 1,65 | 3,1 | 5,3 | 1,07 | 1,25 | 1,95 |
| 23.30 | 122 | ლორიანი-რეიმსი | 1,4 | 3,5 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,43 |
| 23.30 | 123 | მეცი-გენიონი | 1,3 | 3,6 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,57 |
| 23.30 | 124 | ნიორი-კლერმონი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.30 | 125 | სტ.ეტიენი-გრენობლი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.30 | 126 | ტულუზი-ისტრი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |
| 23.30 | 127 | ვალანსი-კაენი | 2,4 | 2,8 | 3,1 | 1,29 | 1,35 | 1,47 |
| 23.30 | 128 | ვასკეალი-ლავალი | 1,7 | 2,9 | 4,0 | 1,07 | 1,19 | 1,68 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. XXXIII ტური

**25 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 153 | ექსელსიორი-ვიტესი | 2,7 | 3,4 | 2,3 | 1,5 | 1,24 | 1,37 |
| 17.30 | 154 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,5 | 2,32 | 1,2 | 1,07 |
| 17.30 | 155 | ბრედა-ალკმაარი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 17.30 | 156 | ნაიმეგენი-ზვოლე | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 17.30 | 157 | ტვენტე-აიაქსი | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 17.30 | 158 | როდა-ვალვაიკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.30 | 159 | ჰერენვენი-როზენდალი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 17.30 | 160 | გრააფსხაპი-გრონინგენი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| 17.30 | 161 | პსვ-უტრეხტი | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |

### ბელგია. I დივიზიონი. XXXIV ტური

**24 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 174 | გენკი-გენტი | 1,65 | 3,6 | 4,6 | 1,13 | 1,21 | 2,01 |
| 23.00 | 175 | ვესტერლო-შარლერუა | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 23.00 | 176 | ლუვიე-მონსი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 178 | სტანდარდი-ანტვერპენი | 1,4 | 4,2 | 7,0 | 1,04 | 1,16 | 2,62 |
| 18.00 | 179 | ბევერენი-ანდერლეხტი | 4,2 | 3,2 | 1,75 | 1,81 | 1,23 | 1,13 |
| 18.00 | 180 | ბეერსხოტი-ლიერსი | 2,9 | 3,4 | 2,2 | 1,56 | 1,25 | 1,33 |
| 18.00 | 181 | ლოკერენი-სტ.ტრუიდენი | 1,85 | 3,4 | 3,6 | 1,19 | 1,22 | 1,74 |

### ბელგია. II დივიზიონი. პლეი-ოფი.

**22 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 183 | ჰეუსდენი-ვარეგემი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 184 | ეუპენი-დენდერლუ | 1,65 | 3,4 | 5,6 | 1,11 | 1,27 | 2,11 |

### პოლონეთი. XXVII ტური

**21 მაისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 207 | ზაგლებე-რუხი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 22.00 | 208 | ვისლა-პოლონია | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| 22.00 | 209 | გროცლინი-გარბარნია | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| 22.00 | 210 | ლეგია-ლეხი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.00 | 211 | გურნიკი-პლოცკი | 2,0 | 3,2 | 3,1 | 1,23 | 1,21 | 1,57 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **თურქეთი. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 17.30 | 225 | მალათია-გიოზთეფე | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 226 | გენჩლერბირლიგი-სამსუნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 227 | დენიზლი-ტრაბზონი | 2,5 | 3,3 | 2,15 | 1,42 | 1,15 | 1,3 |
| 17.30 | 228 | ფენერბაჩე-დიარბაქირი | 1,25 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,08 | 2,66 |
| 17.30 | 229 | ელაზიგი-ისთანბული | 1,45 | 4,0 | 4,4 | 1,06 | 1,09 | 2,09 |
| 17.30 | 230 | ადანა-ბურსა | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,21 | 1,25 | 1,62 |
| 17.30 | 231 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 19.00 | 232 | გაზიანთეფი-ანკარაგუჯუ | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| | | **შოტლანდია** | | | | | | |
| | | **პრემიერლიგა. XXXVIII ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 234 | დანდი იუნაიტედი-აბერდინი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 19.00 | 235 | ჰიბერნიანი-პარტიკი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 236 | მოზერველი-ლივინგსტონი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,24 | 1,23 | 1,62 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 237 | ჰარტსი-დანდი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| 19.00 | 238 | კილმარნოკი-სელტიკი | 9,0 | 5,0 | 1,25 | 3,21 | 1,09 | 1 |
| 19.00 | 239 | რეინჯერსი-დანფერმლაინი | 1,05 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **დანია. XXIX ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 20.00 | 240 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 18.00 | 241 | ფარუმი-ესბიერგი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.00 | 242 | კიოგე-ორჰუსი | 2,8 | 3,4 | 2,25 | 1,53 | 1,24 | 1,35 |
| 18.00 | 243 | ოდენსე-ვიბორგი | 1,95 | 3,3 | 3,5 | 1,22 | 1,25 | 1,69 |
| 18.00 | 244 | სილკებორგი-ოლბორგი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 20.35 | 245 | ბრიონდბიუ-აკადემისკი | 1,45 | 4,0 | 6,5 | 1,06 | 1,18 | 2,47 |
| | | **ავსტრია. XXXV ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 18.30 | 246 | ბრეგენცი-რიდი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 18.30 | 247 | გრაცერი-ზალცბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 248 | პაშინგი-ავსტრია | 2,25 | 3,3 | 2,7 | 1,33 | 1,22 | 1,48 |
| 18.30 | 249 | რაპიდი-კერნტენი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.30 | 250 | ადმირა-შტურმი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| | | **შვეიცარია. A ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 251 | ვილი-ქსამაქსი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 22.30 | 252 | იანგ ბოისი-სერვეტი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 23.15 | 253 | ციურიხი-გრასჰოპერი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 23.15 | 254 | ბაზელი-თუნი | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| | | **შვეიცარია. A/B ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 261 | სიონი-კრიენსი | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| 22.30 | 262 | ვადუცი-აარაუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 22.30 | 263 | ლუცერნი-დელემონი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **შვეიცარია. B ჯგუფი. XII ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 22.30 | 269 | ბადენი-ვინტერთური | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 22.30 | 270 | ვოლენი-ივერდონი | 2,0 | 3,3 | 3,0 | 1,24 | 1,2 | 1,57 |
| 22.30 | 271 | შაფჰაუზენი-ბელინცონა | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. VII ტური** | | | | | | |
| | | **24 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 300 | ოდ გრენლანდი-რუსენბორგი | 4,2 | 3,4 | 1,75 | 1,87 | 1,23 | 1,15 |
| | | **25 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 301 | ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა | 1,8 | 3,5 | 3,6 | 1,18 | 1,19 | 1,77 |
| 21.00 | 302 | მოლდე-ტრომსიო | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| 21.00 | 303 | სოგნდალი-ალესუნდი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 304 | სოგნდალი-ალესუნდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 305 | ლინი-ვიკინგი | 2,4 | 3,4 | 2,5 | 1,4 | 1,22 | 1,44 |
| 23.15 | 306 | ლილესტრიომი-ბრანი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 307 | სტაბეკი-ბრინი | 1,6 | 3,8 | 4,8 | 1,12 | 1,2 | 2,12 |
| | | **ფინეთი. III ტური** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 308 | იოკერიტი-ჯაზი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 20.30 | 309 | ალიანსი-ინტერი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 20.30 | 310 | ჰაკა-კტპ | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 311 | ჰაკა-კტპ 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 20.30 | 312 | კუოპიო-ჰიკ | 4,0 | 3,3 | 1,8 | 1,8 | 1,24 | 1,16 |
| 20.30 | 313 | ლაჰტი-ტამპერე | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 20.30 | 314 | მიუპა-ჰაამეენლინა | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 315 | მიუპა-ჰაამეენლინა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 316 | ტურკუ-იარო | 1,95 | 3,2 | 2,6 | 1,21 | 1,11 | 1,43 |
| | | **რუსეთი. თასი. ½ ფინალი.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 19.00 | 329 | ლადა-სპრტაკი | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 19.00 | 330 | ანჟი-როსტსელმაში | 2,25 | 3,0 | 3,2 | 1,28 | 1,32 | 1,54 |
| | | **შვედეთი. თასი. 1/16 ფინალი.** | | | | | | |
| | | **23 მაისი** | | | | | | |
| 21.00 | 331 | იორგრიტე-ჰელსინგბორგი | 2,35 | 3,4 | 2,6 | 1,38 | 1,23 | 1,47 |
| | | **უეფას თასი. ფინალი.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 332 | სელტიკი-პორტუ | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **თასის აღება.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 3001 | სელტიკი-პორტუ | 1,95 | 1,65 | | | | |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/4 ფინალი. I მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 03.10 | 334 | კობრელოა-ბოკა ხუნიორსი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 05.40 | 335 | კრუს ასული-სანტოსი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 05.10 | 336 | გრემიო-ინდეპენდიენტე | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ამხანაგური მატჩები.** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 02.00 | 338 | არგენტინა-ურუგვაი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| | | **22 მაისი** | | | | | | |
| 22.00 | 339 | ნორვეგია-ფინეთი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 22.30 | 340 | ს.აფრიკა-ინგლისი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| | | **26 მაისი** | | | | | | |
| 04.00 | 341 | ა.შ.შ.-უელსი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 მაისი** | | | | | | | | | |
| 23.45 | 2101 | სელტიკი-პორტუ | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 მაისი** | | | |
| 23.45 | 2501 | სელტიკი-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

21 მაისი

23.45 2401 სელტიკი-პორტუ ------------------- 1.8 ------------------------------- 2,0

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

------------------------------ კი ------------------------------ არა

21 მაისი

23.45 2301 სელტიკი-პორტუ ------------------- 1,65 ------------------------------- 1,95

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

21 მაისი

23.45 2201 სელტიკი-პორტუ ------------------- 1,75 ------------------------------- 1,85

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **I ტაიმის შედეგი** | | | | | | |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23.45 | 2001 | სელტიკი-პორტუ | 2,9 | 2,0 | 3,5 | 1,18 | 1,58 | 1,27 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


სამ თბილისურ ბიუროში
კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;
ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");
დიდომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი
პროგომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა
შაბათი 12.00–21.30
კვირა 12.00–20.30

# მურვანიძის რუსული ვახტანგური

## ქართველმა ფეხბურთელებმა სიხარულით გამაგიჟეს

*თბილისელი ფიგურულად მოციგურავე ვახტანგ მურვანიძე თითისტოლა იყო, როცა დედამ დასაოსტატებლად მოსკოვში ჩაიყვანა და იქვე დატოვა. მას მერე ვახტანგის წარმატება-წარუმატებლობის ამბებს ჯერ დედამისი გვატყობინებდა, მერე საინფორმაციო სააგენტოები, თავად ვახტანგთან კი გასაუბრების საშუალება არ მოგვეცა, რადგან თბილისში ჩამოსვლას ვერ ახერხებდა. და აი, გუშინ 23 წლის ვახტანგ მურვანიძეს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გადავეყარეთ. სულ ხუთიოდე წუთი ვისაუბრეთ, რადგან წინა საღამოს ჩამოსული გუშინ ნაშუადღევს ისევ აეროპორტისკენ მიიჩქაროდა. ახლა სწორედ ამ ბლიც-ინტერვიუს გთავაზობთ*



მზია მუჩასაშვილის ფოტოები

ვახტანგ მურვანიძე
და ირაკლი ჯაფარიძე



ვახტანგ მურვანიძე სოლტ ლეიკ სიტის ყინულზე

**— ქართულად ვისაუბროთ თუ რუსულად?**

— რატომ რუსულად, მე ხომ ქართველი ვარ?!

**— რა ვიცი, ბავშვობიდან მოსკოვში ხარ, იქვე გაიზარდე და, ვიფიქრე, რუსული უფრო ეხერხება-მეთქი.**

— არა, ქართული სულაც არ დამვიწყებია და სადაც უნდა ვიყო, არც დამავიწყდება.

**— კარგი, მაშინ ეს მითხარი, სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც შენს სახეობაში ქართველთა ოლიმპიური დებიუტი შედგა, მე-17 ადგილი დაიკავე. კმაყოფილი ხარ ამ შედეგით?**

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, რადგან მხოლოდ 24 ფინალისტს შორის მოხვედრას ვგეგმავდით, მე კი მე-17 ადგილზე გასვლა შევძელი. თუმცა, უკეთ გამოსვლაც მინდოდა.

**— სოლტ ლეიკ სიტის მერე ალბათ უფრო მაღალი მიზნები დაისახე, მაგრამ წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატში 21-ე იყავი, ალბათ ამით და სეზონით გაწბილებული უნდა იყო.**

— ყველაფერი პირობითია. გააჩნია, საქმეს როგორი კუთხით შევხედავთ. მსოფლიოში ასამდე თანაბარი ძალის ფიგურულად მოციგურავეა, თუმცა, იმ ასიდან 20-25 კაცი ძალიან ძლიერია, ამ ასეულში კი მე ჯერჯერობით სადღაც შუაში ვარ და აღმავლობის გზაზე ვდგავარ. წლეულს მე ოთხმაგი ბრუნი ავითვისე, რასაც მხოლოდ ის 20-25 კაცი ასრულებს. რაც შეეხება მსოფლიოს ჩემპიონატს, ოლიმპიურთან შედარებით უარესად კი გამოვედი, მაგრამ ექიმები საერთოდ გამოუსვლელობას მირჩევდნენ, ისევე როგორც ევროპის ჩემპიონატზე, რადგან საზარდულის ოპერაცია მქონდა გასაკეთებელი. ბოლოს გადავწყვიტე, ოპერაცია გადამედო და ტკივილებისთვის როგორმე გამეძლო, თუმცა ხშირად ეს აუტანელი იყო. ამიტომ ევროპის ჩემპიონატამდე ერთი თვე საერთოდ არ მივარჯიშია, შეჯიბრებაზე კი ტკივილგამაყუჩებელ ნემსებს მიკეთებდნენ. ამის მიუხედავად მე-7 ადგილი დავიკავე. იგივე განმეორდა მსოფლიოს ჩემპიონატზეც.

**— მერედა, როდემდე აპირებ ტკივილების გაძლებას?**

— მოსკოვში უკვე გავიკეთე ოპერაცია და თავს კარგად ვგრძნობ. ექიმების რეკომენდაციით კი ივლისში ყინულზეც დავიწყებ ვარჯიშს, ჩემი ოპერაციის ხარჯები საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა გაიღო, რისთვისაც ძალზე ვემადლიერები მის პრეზიდენტ ჯანო ბაგრატიონს და გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ჩემი პრობლემები. ახლა აქ სწორედ მადლობის სათქმელად მოვედი.

**— ფაქტობრივად, რამდენიმე საათით ჩამოხვედი და ამხელა გზა მხოლოდ მადლობის სათქმელად გამოიარე? ალბათ ახლობლებიც მოგენატრა.**

— რა თქმა უნდა, ყველა მომენატრა, მაგრამ მოსკოვში მართვის მოწმობა დავკარგე და აქ მის ხელახლა ასაღებად ჩამოვედი.

**— კი მაგრამ, მოწმობას მოსკოვში აღარ იძლევიან?**

— წესით, სადაც ცხოვრობ, მოწმობა იქ უნდა აიღო. მე კი არც მოქალაქეობა გამომიცვლია, არც ჩაწერის ადგილი. თუმცა, ახლა საცხოვრებელ ქალაქს და ქვეყანასაც ვიცვლი. ამერიკაში, ნიუ ჯერსიში ვაპირებ გადასახლებას და ვარჯიშს. მართვის ნებართვის სასწრაფოდ აღებაც ამიტომ დამჭირდა.

**— რუსებს ფიგურული ციგურაობის მშვენიერი ტრადიცია და სკოლა აქვთ. უცხოელებს მათკენ უჭირავთ თვალი, შენ კი ამერიკაში წასვლა რამ გაფიქრებინა?**

— აქამდე მოსკოვში საცხოვრებლად და სავარჯიშოდ დაფინანსების პრობლემა დიდად არ მაწუხებდა, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია ძალიან მეხმარებოდა. ახლაც მეხმარება, მაგრამ ახლა ამ სახეობაში სპორტსმენთა რაოდენობამ იმატა, დაფინანსების მოცულობა კი იგივე რჩება. ფედერაცია ხომ ყველას ვერ აუვა. მიუხედავად ამისა, მისი პრეზიდენტის, ირაკლი ჯაფარიძის კავშირების წყალობით ქართველები მოსკოვში ძალზე შეღავათიან ფასებში ვარჯიშობენ ჩემს მწვრთნელ ლენა ჩაიკოვსკაიასთან.

**— მაგრამ უფასოდ ხომ არც ამერიკაში შეგიშვებენ ყინულზე, ეს კი მეტად ძვირი სიამოვნებაა.**

— საქმე ისაა, რომ იქ ცხოვრობს და მუშაობს ჩემი უფროსი მოსკოველი მეგობარი ალექსანდრ ჟელინი. იგი მსოფლიოს ჩემპიონი იყო და ახლა ამერიკაში თავის თანამემამულეებს ავარჯიშებს, მათ შორის ალექსანდრ აბტს, რომელიც ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორია, ოლიმპიურ თამაშებზე კი მეხუთე იყო. ჰოდა, ჟელინი მპირდება, რომ საერთოდ უსასყიდლოდ მავარჯიშებს და ფული არც ყინულში მექნება გადასახდელი.

**— ყოველივე ამაზე რას ამბობს ლენა ჩაიკოვსკაია, ვინც ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური დღეების ვერცხლისმედალოსანი და ამ სახეობაში პირველი ქართველი ოლიმპიელი გაგხადა, რისთვისაც საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიანიჭეს და ჩვენი ქვეყნის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავისი მედლითაც დააჯილდოვა.**

— ჩაიკოვსკაიას, რა თქმა უნდა, ძალზე ვემადლიერები. მან ჩემთვის ძალიან ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ იძულებული ვარ, ამერიკაში წავიდე. ჩაიკოვსკაია და ზოგი სხვაც მეუბნება, იქ უარესი პირობები გექნებაო, მაგრამ სხვა გზაც რომ არ ჩანს? თუმცა, მე მაინც მგონია, რომ უკეთესი პირობები დამხვდება.

**— მაგრამ განა მხოლოდ საყოფაცხოვრებო და სავარჯიშო პირობებია ხომ საკმარისი? შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის ხომ მგზავრობისა და სასტუმროს თანხებიცაა საჭირო, რაც ალბათ ამერიკიდან უფრო გაჭირდება.**

— გრან პრის სერიის ტურნირებში, ყველა ამ ხარჯს შეჯიბრების მასპინძელი ფარავს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი ჩვენს ფედერაციას მხოლოდ მგზავრობის ხარჯების დაფარვა მოუწევს. ასე რომ, მოსკოვში, ნიუ ჯერსიში თუ სხვაგან, ეს დიდი პრობლემა არ იქნება.

**— ხომ არ შეგიხედია თბილისის საციგურაო ბაზაზე, სადაც ფეხი აიდგი? შარშან რეკონსტრუქციის მერე იგი განაახლეს და გააფართოვეს.**

— რა თქმა უნდა, იქაც შევიხედე, მაგრამ რატომღაც ყინული არ დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ სარბიელის ზომა გაზარდეს, იგი საერთაშორისო სტანდარტებს მაინც ჩამორჩება. იქ რაღაც დონემდე ვარჯიში შეიძლება, დიდი სპორტისთვის კი დიდი ყინულია საჭირო.

**— თქვი, თბილისელებს მოსკოვში ყველას ჩაიკოვსკაია ავარჯიშებსო. როგორ ფიქრობ, მათგან კარგი სპორტსმენები დადგებიან?**

— მართლაც კარგი, პერსპექტიული ბავშვები არიან. მათგან სამ-ოთხს გამოვარჩევდი. მაგალითად, თორნიკე ტუკვაძეს. იგი, სხვათა შორის, წარსულში თბილისის „დინამოს" და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა წყალბურთელთა ნაკრების კარის დარაჯის, გელა ტუკვაძის შვილია. იგი ასევე პერსპექტიულ ტატიანა სინიავერთან წყვილში ოსტატდება.

ასევე კარგი მომავალი აქვს საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტის შვილსაც, ასე რომ, ჩემი მწვრთნელი უქართველებოდ მაინც არ დარჩება.

**— საერთოდ, ქართული სპორტსმენების წარმატება-წარუმატებლობებს თუ ადევნებ თვალს?**

— რა თქმა უნდა. ყველაზე მეტად საქართველოს ფეხბურთელთა მიერ რუსეთის ნაკრების დამარცხებამ გამახარა. გამახარა კი არა, სიხარულისგან ლამის გავგიჟდი. ტელევიზორს ჩემს იქაურ მეგობრებთან ერთად ვუყურებდი. თამაშის დაწყებამდე ღიდ გულზე იყვნენ, ნახეთ რას გიზამთო, რომ გავიმარჯვეთ, ახლა მე გადავხედე ქედმაღლურად და იმის მერე სულ ნიშნისმოგებით ველაპარაკები.

**ავთანდილ გურასაშვილი**

მთამსვლელობა

# ბიძინა გუჯაბიძეს ივლისამდე პატიმრობა ელის



ევერესტი

დედამიწის უმაღლესი მწვერვალის ძირში ხალხის არნახული მოზღვავებაა. აქ ჯერ კიდევ ამ თვენახევარ-ორი თვის წინა დაიწყო მთამსვლელთა ექსპედიციების ჩასვლა, ბოლო დღეებში კი ევერესტის მისადგომები მეტად გამოცოცხლდა და თანდათან სულ უფრო ფუტკრის სკას ემსგავსება. თავდაპირველად ჩასულნი დედამიწის კენწეროზე და მის ახლო-მახლო მწვერვალებზე ასვლას აპირებენ, დანარჩენები, რომლებსაც ამ დღეებში აუკრავთ გუდა-ნაბადი, 5600 მეტრზე მდებარე ევერესტის საბაზო ბანაკიდან ქვემოთ, 3900 მეტრზე გაშენებულ სოფელ ნამჩე ბაზარამდე აპირებენ მარათონულ რბენას. თუმცა, ისინი მხოლოდ დაღმართში კი არ ირბენენ კისრისტეხით, არამედ მრავლად შეხვდებათ აღმართებიც, საცალფეხო ბილიკებიც და ლოდიდან ლოდზეც მოუწევთ კალიასავით ხტუნვა. მესამენი გოლიათი მწვერვალების გაყოლებაზე საჰაერო ბურთებითა თუ პარაპლანებით ფრენის ჟინს შეუპყრია; მეოთხე ჯგუფი იმ 1200-მდე ბედნიერთა ნაწილია, რომლებსაც სხვადასხვა დროს ფეხი შეუდგამთ ევერესტზე, ახლა კი მასზე პირველასვლის 50 წლის საიუბილეოდ ჩასულან.

ერთი სიტყვით, ევერესტის საიუბილეო თარიღმა ეს გადაკარგული მხარე არნახულად გამოაცოცხლა.

საიუბილეოდ მწვერვალზე ფეხის შედგმას, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, ტრადიციული, კლასიკური მარშრუტით აპირებენ, ყველაზე რთულ გზას კი იაპონელები და სამხრეთაფრიკელები დასდგომიან.

ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლები დასავლეთის ქედის ავლით აპირებენ ევერესტზე ასვლას, რაც პირველად 1979 წელს განახორციელეს იუგოსლაველებმა და დღემდე ერთ-ერთ ურთულეს მარშრუტად ითვლება. რაც შეეხება სამხრეთაფრიკელებს, ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთის ფერდობს დასდგომიან.

მაგრამ ჩრდილო-აღმოსავლეთია თუ დასავლეთი, ყველა ეს მილეთის ხალხი ევერესტს სამხრეთიდან, ნეპალიდან მისდგომია, დანარჩენები ევერესტს სულ სხვა, გაღმა, ჩრდილოეთით მდებარე ტიბეტიდან უტევენ. მათ შორის არის თბილისელი ბიძინა გუჯაბიძე, რომელიც 1 აპრილიდან რუს მთამსვლელებთან ერთად ევერესტის ფერდობებზე აღმა-დაღმა დადის საკლიმატიზაციოდ, მარშრუტის დასამუშავებლად და ბანაკების დასადგმელად. თუმცა, ზოგი კარავი ქარიშხალმა ნაფლეთებად აქცია და მათგან ნაკუწებიც კი აღარ დარჩა.

ტიბეტიდან მოიერიშე რუსებს ევერესტის საიუბილეო დღეები სულაც არ ახსოვთ. მათი ერთი ჯგუფი ჩრდილოეთის კლასიკური მარშრუტით ცდილობს ასვლას და იმ ლაშქრობას ევერესტის იუბილეს კი არა, პეტერბურგის 300 წლისთავს უძღვნის.

მეორე ჯგუფი, როგორც ადრე ვიუწყებოდით, „ალპინდუსტრიის სათავგადასავლო გუნდია", რომელშიც გუჯაბიძიანად 12 კაცი ირიცხება. და ისიც იმავე ჩრდილოეთის კლასიკური მარშრუტით ცდილობს ასვლას. როგორც ბიძინა გუჯაბიძე ამბობს, ამ გუნდში მისი ჩათვლით სამი მთამსვლელია, დანარჩენები არიან ახალი რუსები, რომლებსაც მთამსვლელობა სურთ და ისინიც, რომლებიც ძველი მთამსვლელები არიან, მაგრამ ახალი რუსობა სურთ.

ეს რებუსი ბოლომდე ვერც ჩვენ გავიგეთ და მას ჩამოსვლის მერე ისევ ბიძინა თუ აგვიხსნის, მანამდე კი, ეტყობა, კარგა ხანს მოგვიწევს ლოდინი.

საქმე ისაა, რომ ამინდის პროგნოზის მიხედვით ყველაზე ხელსაყრელი დღე სწორედ დღეს და 26 მაისსაა. გუჯაბიძე მეორე მოიერიშე ჯგუფშია და 26 მაისს გეგმავს ასვლას. მასაც და პირველი ჯგუფის წევრებს მხოლოდ თითო ცდის შანსი ექნებათ. თუ მიზანს მიაღწევენ, ბიძინა გუჯაბიძე გახდება პირველი ქართველი მთამსვლელი, რომელიც ევერესტზე ჩრდილოეთიდანაც ავიდა და სამხრეთიდანაც.

შეგახსენებთ, რომ ბიძინამ ნეპალიდან 1999 წელს დალაშქრა ეს მწვერვალი.

და მაინც, ეტყობა, გუჯაბიძესთან შეხვედრა ივლისამდე არ გვიწერია, რადგან ჩინეთში ატიპიური პნევმონიის შიშით ტიბეტის „ჭიშკარი" სწორედ ივლისამდე ჩაირაზა. სასტუმროებში მცხოვრებნი სასტუმროებშივე გამოკეტეს და სამყაროს მოსწყვიტეს, სამყაროს ისედაც მოწყვეტილ მთამსვლელებს კი იგივე ბედი ელით.

**ავთანდილ ტყეშელი**

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

### პლეი ოფი. ფინალი სამ მოგებამდე

**დინამო VS ბასკო**

*დღეს მე-12 ეროვნული ჩემპიონატის ფინალი იწყება. ჩემპიონობისთვის ბრძოლის წინა ეტაპებმა, რომლებიც არც საინტერესო და ვერც ძალიან დაძაბული გამოდგა, ქართული კალათბურთის ტრიბუნებს შერჩენილ ორ მუჭა ქომაგს ორი გუნდი დაუტოვა — თბილისის „დინამო" და ბათუმის „ბასკო". ულიმღამო ეროვნული ჩემპიონატის ორი სხვებზე გამორჩეული გუნდი დღეს ექვს საათზე სპორტის სასახლეში პირველად შეხვდება ერთმანეთს*

# ბასკოს ფავორიტი გამოუჩნდა

## დინამო სკამზე და ვერის ბაღში ვერ ეტევა



„დინამოს" მოელვარე მწვრთნელი დრაჟენ ბრაიკოვიჩი



„ბასკოს" თავკაცი ნუგზარ კანდელაკი



„ბასკო" და „დინამო" ფინალს წლეულსაც იმეორებენ

„ბასკო" და „დინამო" შარშანდელ ფინალს იმეორებენ. „ბასკო" კვლავ როგორც მოქმედი ჩემპიონი ეწვია გადამწყვეტ სერიას, „დინამოც" ისევ პრეტენდენტია. ეგაა, ამჯერად ფავორიტად „დინამო" მოიხსენიება. გეთანხმებით, ფავორიტი სადავო ცნებაა და ამ სტატუსის ერთი გუნდისთვის მინიჭებამ მეორე იქნებ გაანაწყენოს. მაგრამ აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ ფავორიტობა ჩემპიონობას არ ნიშნავს და მით უმეტეს, ამ შემთხვევაში, როცა ორ მეტოქეს შორის რეალური სხვაობაა, ძნელი შესამჩნევია თუნდაც იმიტომ, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი „დინამოს" სრული შესაძლებლობები უცნობია ყველასთვის და მათ შორის, ალბათ, თბილისელთა ახალ მწვრთნელ დრაჟენ ბრაიკოვიჩისთვის.

ბრაიკოვიჩის გუნდის ფავორიტად მოსახსენიებლად „დინამოს" მზარდმა ამბიციებმა გვიბიძგა. ბოლო სამ ჩემპიონატში ბოლომდე ვერვისგან ძლეული „ბასკო" ამ ფინალს შეთხელებული შემადგენლობით ხვდება, „დინამომ" პირიქით, ბოლო ერთ წელიწადში წონაში ისე მოიმატა და ისეთი მითქმა-მოთქმა აატეხა, რომ ეროვნული ჩემპიონატის მოგება არად უნდა უჩანდეს. ბადრი პატარკაციშვილის ხელდადებული კლუბისთვის ფინანსური წანაღობა მოხსნილია, შესაბამისად არის შემადგენლობაც, რომელიც სათადარიგოთა სკამზე ვერ ეტევა. და, რაც მთავარია, ჰყავს მწვრთნელი, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატის ფინალის მოგება იოლ საქმედ უჩანს.

„დინამოს" ამბიცია ვერ დაეტია ვერის ვიწრო საკალათბურთო დარბაზში. „აზოტთან" ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში „დინამომ" გამოიყენა მასპინძლის უფლება, იმ თამაშისთვის იჯარით აიღო დარბაზი და შესაბამისად, ბილეთებიც გაყიდა. იგივე უფლების გამოყენებას აპირებენ დინამოელები ფინალშიც, ოღონდ ამჯერად მეტოქეს სპორტის სასახლეში დაუხვდებიან, რაკი 4000-ადგილიანი ვერის დარბაზი ფინალის ნახვის ყველა მსურველს ვერ დაიტევს. საპლეიოფო წესდების თანახმად, „დინამო" „ბასკოს" დღეს და ხვალ, სერიის პირველ და მეორე თამაშებში სპორტის სასახლეში მიიღებს და თუ საჭირო გახდა, ზღვისპირელებს აქვე დაუხვდება მეხუთე თამაშისთვის.

ბრაიკოვიჩის განკარგულებაში ჩაწერილი 15 მეტ-ნაკლებად თანაბარი გაქანების კალათბურთელიდან ძირითადი ბირთვის გამორჩევა ჭირს. ბათუმელები ყველაზე მეტად ალბათ მაინც უკანახაზელ ირაკლი ხოშტარიას უნდა უფრთხოდნენ, აგრეთვე გამოცდილ ვეტერანებს — მარმუკა აბრამიძესა და რეზო ჩხეიძეს, თუმც ახალგაზრდებიც, მაგალითად გიორგი მარკოიშვილი და ვახტანგ მინაშვილი, სათვალავში ჩასაგდებია. ბრაიკოვიჩს ცენტრების მრავალფეროვანი არჩევანი აქვს, ამ სიტყვის არაერთგვარი გაგებით. ბრაიკოვიჩი, ალბათ იუგოსლაველ სიროვინას, სომეხ ოგანესიანსა და ლიტველ ვენსკუნასს შორის ორს აირჩევს. „დინამოს" ფარს ამაგრებს კიდევ ერთი უცხოელი, კამერუნელი აჰმედ მუპე.

ბრაიკოვიჩისგან განსხვავებით, მის ბათუმელ ოპონენტ ნუგზარ კანდელაკს შემადგენლობის ჭრის და კერვის საშუალება არ აქვს, „ბასკოს" სკამი „დინამოსაზე" მოკლეა. ამას თავისი დადებითი მხარეც აქვს, კანდელაკმა ზუსტად იცის, ვის დაეყრდნოს. პირველ რიგში ესენი ბათუმელი მეფარეები კახა შენგელია და ლევან ქარაბაკი და ზვიად ბაბიაშვილი არიან. სამივე რიგიან ფორმაშია. „ბასკო" ძირითადად ამათი საშუალებით ეცდება თავის მეოთხე სეზონში მეოთხე ქართული ოქრო დაიკიდოს.

„დინამოსთვის" კი ეს ფინალი მეხუთეა. ქართული კალათბურთის ძველი ფლაგმანი და ახლაც ასეთად გახდომის მოსურნე კლუბი 1992 წელს პირველ ეროვნულ პირველობაში გაჩემპიონების შემდეგ სამჯერ — 1996, 1997 და 2002 წლებში გავიდა ფინალში და სამჯერვე მოეცარა ხელი.

**ირაკლი ფირაშვილი**

| ფინალური სერიის კალენდარი |
|---|
| 21 მაისი. 18 საათი |
| სპორტის სასახლე |
| 22 მაისი. 18 საათი |
| სპორტის სასახლე |
| 26 მაისი. 17 საათი |
| ბათუმი |
| თუ საჭირო გახდა |
| 27 მაისი. 17 საათი |
| ბათუმი |
| 30 მაისი. 18 საათი |
| სპორტის სასახლე |

## მესამე ადგილისთვის. ორ მოგებამდე

### სტუ-ჯეოსელი 1:0 აზოტი

# დისციპლინა მარხვაზეა

## ნუგზარ ჭეიშვილს შეგირდი ეჩხუბა





სტუ-ს მწვრთნელ ნუგზარ ჭეიშვილს საკუთარი მოთამაშე გიორგი მარხვაშვილი აუჯანყდა

**20 მაისი. ვერის ბაღი**

**სტუ-ჯეოსელი 94:88 აზოტი**

(17:22), (30:24), (28:18), (25:24)

**სტუ-ჯეოსელი:** ტულუში (15), ხეცურიანი (18), ლოსაბერიძე (14), ტუჯანი (20), მუშკუდიანი (10); დავითულიანი (7), გაგნიძე (6), მარხვაშვილი (2), ოთიურიძე (2), ნოზაძე, ლაფანაშვილი, ახალკაცი

**აზოტი:** ძლენტი (20), ჩაჩუა (6), გოგობერიშვილი (10), ბერუაშვილი (6), ჯაფარიძე (24); ჯიმშელეიშვილი (10), ტყეშელაშვილი (8), მაჭარაძე (4), გოგსაძე, დანელიანი, არწივიძე, გაბისონია

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

**კომისარი:** როლანდ ხომერიკი

ეტყობა, შიდაქართულ კალათბურთში დისციპლინა ჯერაც ზოგადი ცნებაა. ის რომ მწვრთნელი, მწვრთნელია და მოთამაშემ მისი მითითება მოედანზე უნდა შეასრულოს, ზოგიერთ კალათბურთელს ბოლომდე ვერ გაუცნობიერებია.

გუშინ, მესამე ადგილისთვის სერიის პირველ მატჩში სტუ რუსთავის „აზოტს" ხვდებოდა. სტუდენტთა ჭაბუკმა გამთამაშებელმა გიორგი მარხვაშვილმა მეორე ტაიმის დასაწყისში ნერვები ვერ მოთოკა და ისე გაიხადა საქმე, რომ შეიძლება გუნდიდანაც დაითხოვონ.

თავის ამპლუაში მარხვაშვილს საკმაოდ სერიოზული კონკურენტი ჰყავს კოტე ტულუშის სახით, ამიტომ მოედანზე ყოფნა დიდხანს არ უწევს ხოლმე. ამან, თუ, ვინ იცის, რამ მასში უარყოფითი ემოციები დააგროვა, რომლებმაც გუშინ საჯაროდ ამოხეთქა.

ერთ მომენტში სტუ-ს მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა მარხვაშვილს მოედანზე შენიშვნა მისცა. კალათბურთელი მწვრთნელს შეეპასუხა და ამ შელაპარაკებაში კინაღამ რვა წამის წესი დაარღვია. მერე კი როგორც ბურთი მოიხელთა, ფეხით კედელს მიანარცხა და ჭეიშვილთან კინკლაობა განაგრძო, თან არც „ტკბილი" სიტყვები დაამადლა მწვრთნელს. მარხვაშვილი ვერც მეორე მწვრთნელმა, კალათბურთელობისას არანაკლებ ემოციურმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა დააწყნარა. ბოლოს კი ერთ-ერთმა თანაგუნდელმა ისტერიაში მყოფი, აცრემლებული მარხვაშვილი პირზე ხელებაფარებული გაიყვანა მოედნიდან.

ამ სცენამ ისედაც დაძაბული მატჩის ნერვი კიდევ უფრო დაჭიმა, მაგრამ სტუელებმა მალევე მოთოკეს თავი და უარყოფითი ემოციები მეტოქის კალათზე მიუშვეს. განსაკუთრებით გამოირჩა სტუ-ს შავკანიანი მოთამაშე ყოლივერ ტუჯანი, რომელმაც სამჯერ ეფექტიურად ჩაუტენა რუსთაველებს.

თავად მატჩი კი ქულაქულაში მიდიოდა და მისი კვანძი საფინალო სეზონამდე 30 წამით ადრე გაიხსნა, როდესაც სტუ 92:82 იგებდა, ხოლო რუსთაველ რამაზ გოგობერიშვილის სამქულიანი მიზანს ასცდა და სტუელთა ნადავლი გახდა.

ამ გამარჯვებით სტუ-მ პირველი დიდი ნაბიჯი გადადგა ბრინჯაოს მედლებისკენ. მათი საპასუხო მატჩი ხვალ რუსთავში გაიმართება. სერია ორ მოგებამდე გრძელდება.

**ბაჩო სვანიძე**

# ევროპამ საქართველო, სულ ცოტა, 2005 წლამდე ჩამოარეიტინგა

*გუშინ, გამთენიისას, თბილისში დაბრუნდნენ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და გენერალური მდივანი მერაბ რატიშვილი, რომლებიც ამ უქმეებზე სევილიაში FIBA-ს ასამბლეას დაესწრნენ*



მერაბ რატიშვილი და ბესიკ ლიპარტელიანი

### ვეძებ ნორმალურ ამხანაგს

## ვცვლი ლუქსემბურგს ტამბოველ მგელში

**სევილიაში** ევროპული კალათბურთის მამებს კონტინენტური პირველობის შესარჩევი ტურნირის ახლებური სისტემა და მისი გამართვის დრო ჰქონდათ დასადგენი.

სევილიიდან დაბრუნებულმა მერაბ რატიშვილმა გვითხრა, რომ 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ნოემბერ-იანვრის მაგივრად 2004 წლის ზაფხულში, სავარაუდოდ, ივნისში ჩატარდება. ამ პროექტის მიღება მოსალოდნელი იყო, რადგან ზაფხულში ნბა ისვენებს და ოკეანის გაღმა მობურთალ ევროპელებს მშობლიური ნაკრებთა დახმარება შეეძლებათ. ცხადია, თუ მათი ქვეყნების ფედერაციებმა ნბა-ს კლუბების პირობები დააკმაყოფილეს — კერძოდ, ფედერაციებს ევალებათ მოთამაშეთა ტრავმიანობის შემთხვევაში დაზღვევის ხარჯების გადახდა.

ახლა რაც შეეხება შესარჩევი ეტაპის გამართვის პრინციპს. ეს საშინლად რთული სქემაა და დაინტერესებულ პირთაგან საკმაო ყურადღებას მოითხოვს: ევროპის 41 ნაკრები დაიყო ძლიერებად და სუსტებად და გადანაწილდა „ა" და „ბ" ჯგუფებში. „ა" ჯგუფში უკეთესი რეიტინგის მქონე 24 გუნდი მოხვდა, რომლებიც 2005 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში პირდაპირ დაიშვებიან. უარესი 17 გუნდი კი „ბ" ჯგუფის ორ ქვეჯგუფში განაწილდა. სამწუხაროდ, საქართველოს ნაკრების რეიტინგი მხოლოდ „დაქვეითებულებს" გასწვდა და ჩვენებს ჯერ შესარჩევი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა მოუწევთ. თუ ჩვენი ნაკრები „ბ" ჯგუფის ორი მოწინავეს შორის მოხვდება, ანაცვლებს „ა"-ში.

„ბ" ჯგუფის ორი რჩეული „ა" ჯგუფიდან დაქვეითებულ ორ მარჩხალას შეცვლის. ეს კი 2005 წელს მოხდება. ასე რომ, საუკეთესო შემთხვევაში — თუ „ბ" ჯგუფში ივაჟკაცა — საქართველო მხოლოდ 2007 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ითამაშებს.

თავად „ა" ჯგუფის შესარჩევი ტურნირის ჩახლართული სისტემა ასეთია: ევროპის 2003 წლის პირველობის შედეგებით 5 საუკეთესო ნაკრები პირდაპირ მოხვდება 2005 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. შესაბამისად, „ა" ჯგუფის 24 გუნდს ეს ხუთი ნაკრები დააკლდება და დარჩენილი 19 გუნდი 4 ჯგუფში გადანაწილდება. ამათგან 10 უკეთესი იმ იღბლიან ხუთ ნაკრებს დაემატება, ბოლო, მე-16 საგზურს კი ერთმანეთში 24 ნაკრებიდან 9 უიღბლო გაითამაშებს. ამათში ორი უარესი გუნდი, როგორც ზემოთ ვთქვით, „ბ" ჯგუფის ორ უკეთეს გაუცვლის ადგილს.

ერთიც, თუ 2005 წლის ჩემპიონატის მასპინძელმა ქვეყანამ ვერ შეძლო შესარჩევი ტურნირიდან ფინალურ ეტაპზე გაღწევა, ანუ ვერ მოხვდა 15 ნაკრებში, მაშინ ის მე-16 საგზური აღარ გათამაშდება და ავტომატურად დარჩება ტურნირის მასპინძელს.

ბოლოს კი ჩვენთვის საინტერესო „ბ" ჯგუფის შემადგენლობა: საქართველო, მაკედონია, ალბანეთი, ავსტრია, აზერბაიჯანი, ბელარუსი, კვიპროსი, დანია, ინგლისი, ირლანდია, ისლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, პორტუგალია, შვეიცარია, სლოვაკეთი, უელსი.

**ბაჩო სვანიძე**

**NBA PLAY OFF მეორე წრე ოთხ მოგებამდე**

ბიბლიოთეკა

19 მაისი

### დასავლეთი

**სან ანტონიო 0:1 დალასი**

**სან ანტონიო 110:113 დალასი**

**სან ანტონიო: პარკერი (18), ჯეკსონი (8), ბოუენი (13), დანკანი (40 ქულა, 15 მოხსნა, 7 პასი), რობინსონი (7); ჯინობილი (12), ვილისი (9), როუზი (3), კლაქსტონი, ფერი**
**დალასი: ნეში (22), ფინლი (26), ბელი, ნოვიცკი (38 ქულა, 15 მოხსნა), ლაფრენცი (2); ვან ექსელი (14), ნაჰერა (9), უილიამსი (2), ბრედლი, გრიფინი**

## დალასმა სან ანტონიო დააჯარიმა

„დალას მავერიკსმა" ისწავლა შანსების გამოყენება თვით ისეთი ზეგუნდების წინააღმდეგაც კი, როგორიც „სან ანტონიო სფურზია". დასავლეთ ნბა-ს ფინალში, რომელიც ტეხასური გამოდგა, სტუმრად უდაძაბულეს ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ სწორედ „დალასი" დაწინაურდა.

„მავერიკსის" გამარჯვება ამ ნაადრევი ფინალის ცოტა მოულოდნელი დასაწყისი იყო. ის, რასაც ეს გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში აკეთებდა, თითქმის წარმოუდგენელია. ყველამ კარგად იცის, რომ „დალასი" ჩუბინი გუნდია, თუკი რამ შეუძლია, პირველ რიგში ზუსტი სროლა. დალასელებს ახლაც წაუვიდათ სროლები და თან როგორ. მერე რა, რომ მხოლოდ ერთქულიანები და არა ორიან-სამიანები. თამაშის მოგება ბევრი ერთქულიანითაც შეიძლება, „მავერიკსი" კი ბევრზე ბევრს ყრიდა.

პირველი მეოთხედის მეტი წილი მიწურულიყო, როცა სტუმრებს პირველი საჯარიმოს სროლის უფლება მიეცათ. მექსიკელმა ფორვარდმა ედუარდო ნახერამ ისროლა და ააცილა. დალასელებს, მათდა ბედად, გულზე არ აწევთ ცრუმორწმუნეობის მაჯლაჯუნა და უქჩველია, არც სიფთას „მცნება" გაუგიათ ოდესმე. პირველი გაფუჭებულის შემდეგ მათ ისე გააგრძელეს თავიანთი საქმის კეთება, დაკარგული ქულა აინუნში არ ჩაუგდიათ. შეტევაში აქტიურობდნენ — ყოველთვისაც აქტიურობენ — და სანანტონიოელებს პერსონალურებიც აჰკიდეს. თავად დალასელები ისროდნენ და ისროდნენ. ბურთები კი მხოლოდ ვარდებოდა, ერთი არ აუცილებიათ და თამაში რომ დამთავრდა, მეოქმეებმა ნახერას პირველი აცილებულის შემდეგ ზედიზედ 49 გამოყენებული საჯარიმო დათვალეს. 17 საჯარიმოდან ყველა ჩააგდო დირკ ნოვიცკიმ, ქულის გაკეთების ათი შანსიდან ყველა გამოიყენა მაიკლ ფინლიმ, ნიკ ვან ექსელმა შვიდი ცდიდან შვიდჯერ იმარჯვა, სტივ ნეშმაც ექვსჯერვე მარჯვედ გამართა ხელი. ნახერას ის პირველი საჯარიმო რომ არ გაეფუჭებინა, „დალასი" ნბა-ს ყველა დროის აბსოლუტურ რეკორდს დაისაკუთრებდა. პლეი ოფების ისტორიას ათი შემთხვევა ახსოვს, როცა გუნდს საჯარიმო არ გაუფუჭებია. ამათგან საუკეთესო შედეგი „ფინიქს სანზს" ეკუთვნის, რომელიც 1989 წლის ერთ საპლეიოფო თამაშში 28 საჯარიმოდან ყველას გამოყენებით მოუხვეჭია.



დირკ ნოვიცკიმ მკლავი გამართა

REUTERS სან ანტონიოდან

თუმც დალასელები რეკორდს არ მისტირიან, მთავარია, რომ მოიგეს. ხოლო სანანტონიოელებს მარცხის მიზეზად სწორედაც საჯარიმოები მოაქვთ, ოღონდ „დალასის" ჩაგდებულებზე მეტად თავიანთი აცილებულები, საქმე ისაა, რომ იმ საღამოს „სან ანტონიოსაც" მოუწია ბლომად საჯარიმოების სროლამ. მასპინძლებმა თითქმის სტუმრების ოდენობა, 48 ერთეული ისროლეს, მაგრამ ვინაიდან აქედან 17 ააცილეს, საწუწუნოც გაუჩნდათ.

არადა, „სან ანტონიოს" თითქმის ჯიბეში ჰქონდა გამარჯვება, პირველ ტაიმში 18 ქულით იგებდა და ბოლო მეოთხედშიც 14 ქულით იყო წინ. მასპინძლებს ხელმომჭირნედ რომ დაეხარჯათ თამაშიდან სროლები და „დალასს" სწრაფ თამაშში არ აჰყოლოდნენ, საქმე არ გაუფუჭდებოდათ. „სფურზის" ლიდერი ტიმ დანკანი მთელი თამაშის განმავლობაში აწიოკებდა სტუმრებს, მაგრამ როცა ბოლო მეოთხედში მეტოქემ მის გუნდს შტურმი მოუწყო, დანკანს ხელები აუტოკდა. დალასელი ოპონენტის დირკ ნოვიცკისგან განსხვავებით, დანკანმა ააცილა მნიშვნელოვანი საჯარიმოებიც და სხვა სროლებიც. მაგალითად, 111:110 ანგარიშზე, მატჩის დამთავრებამდე 14 წამით ადრე ბურთი კალათს საერთოდ ვერ გაარტყა. დროის მოგების მიზნით მისიანები ნოვიცკიზე დაჯარიმდნენ, ამანაც, ცხადია, ორივე საჯარიმო ჩააგდო.



რა ტყუილად მოიხვეჭა ტიმ დანკანმა 40 ქულა...

REUTERS სან ანტონიოდან



# ეს ბიჭი მაგარი სპეცი ყოფილა!



REUTERS ოტავადან

ჯეისონ სპეცას ძვირფასი გოლი „ეშმაკ" მარტინ ბროდოს კარში

**NHL სტენლის თასი**

**კონფერენციის ფინალი ოთხ მოგებამდე**

19 მაისი

### აღმოსავლეთი

**ოტავა 2:3 ნიუ ჯერსი**

**ოტავა 3:1 ნიუ ჯერსი** ***0:0 1:1 2:0***

**1:0 ტ. უაიტი (24), 1:1 სტივენსი (27), 2:1 პავლატი (48), 3:1 სპეცა (53)**

მეტოქეებმა გვარიანად შეისწავლეს ერთმანეთი. ამ მატჩამდე ერთ კვირაში ოთხჯერ შეხვდნენ და თითქოს ერთი გუნდი ვეღარაფრით გააკვირვებდა მეორეს, მაგრამ დახეთ, ოტავას შემოუნახავს ერთი თულფი — 2001 წლის დრაფტის №2 ჯეისონ სპეცა. ორი წლის წინ ბევრი ელოდა, რომ ასეთი მაღალი ნომრით არჩეული ფორვარდი უთუოდ გაიბრწყინებდა, მაგრამ... გაუჭირდა სპეცას დიდებთან თამაში და ამიტომაც იყურყუტა ფარმკლუბში. ცხადია, არც საპლეიოფო თამაშებში მიუღია აქამდე მონაწილეობა, მაგრამ როცა ოტავას ძალიან გაუჭირდა, ეს ნიჭიერი ჭაბუკი გაიხსენეს, თუმც ვინ წარმოიდგენდა, რომ იგი ამდენს შეძლებდა. გოლი და პასი — ასეთი დებიუტი მოიწყო სპეცამ პლეი ოფში და ის, რომ ოტავა აგრძელებს ბრძოლას, მისი დიდი დამსახურებაა.

მესამე პერიოდში დაძაბულობამ ჭერს უწია. ჯეისონმა კარს უკან იბრძოლა და შაიბა მიაწოდა, მარტინ პავლატს, რომელიც არცთუ მოხერხებულ პოზიციაში იმყოფებოდა. ჩეხმა მაინც დაარტყა და რამდენიმე საოცარი რიკოშეტის შემდეგ შაიბა კარში აღმოჩნდა. მომდევნო გოლი კი მთლიანად სპეცამ შექმნა — მან შაიბის ჩაგდებაზე ივარგა, შემდეგ კი კრის ფილიპსის დარტყმას ოსტატურად შეუცვალა მიმართულება. თანაც ეს გოლი რიცხვმრავლობაში გავიდა. არადა, აქამდე ოტავა ვერ იყენებდა რიცხობრივ უპირატესობას.

„ცხადია, ჯეისონი ნერვიულობდა, მაგრამ ეს მის თამაშს სრულიადაც არ დასტყობია. პირიქით, სავსებით გაწონასწორებული იყო, რითაც ფრიად გამაოცა. ვფიქრობ, ახლა მთელი კანადა მასზე ლაპარაკობს" — თქვა მატჩის შემდეგ ოტაველმა ბრაიან სმოლინსკიმ. თავის მხრივ ნიუჯერსელთა თავკაცმა პეტ ბერნსმა ჟურნალისტებს საკმაოდ ორიგინალურად უპასუხა: „რამდენი ცვლა ჩაატარა, არ ვიცი და საერთოდაც გოლამდე არ მიმიქცევია მისთვის ყურადღება. მე მწვრთნელი ვარ, ხოლო დაზვერვა სკაუტების საქმეა... ალბათ კარგი მოთამაშე დადგება".

**სამველ ღარიბიანი**



ამელი მორესმო

# კაცური კვირა მორესმო და არგენტინა

**საამკვირაო** რეიტინგსიებიდან ყველაზე ნაკლებ აჭრილი ქალთა ნუსხა გამოდგა.

წინა კვირის ზეოცეულთან შედარებით აქ მხოლოდ ერთი ცვლილებაა — მეხუთეადგილოსანმა ლინდსი დევენპორტმა, ვინაც ტრავმის გამო იუქმა, თავისი ალაგი მეექვსეადგილოსანსა და რომში ფინალამდე ნაბულრავებ ამელი მორესმოს დაუთმო.

იმის მიუხედავად, რომ მარადიულ ქალაქში შარშან მოპოვებული ტიტული ვერ დაიცვა, ქალთა აშქრის ბაყვბაყვდევ სერენა უილიამსს სხვათაგან მაინც უზარმაზარი ქულადი ნაპრალი ჰყოფს.

ჰო, მართლა — რომში ის სწორედ მორესმოსთან დამარცხდა და როგორც სტატისტიკა გვახსენებს, წლეულს ნათამაშებ 27 შეხვედრაში უკვე ორი დამარცხება დაუგროვდა.

მორესმომდე მას ჩარლსტონთიხნარულ ფინალში ჟუსტინ ენენ-არდენმა აჯობა.

არადა, უნდა გახსოვდეთ — ზედიზედ ოთხგზის სლემტიტულოსანი სერენა სეზონის სტარტზე ბაქიბუქობდა, წლეულს ყველა შეხვედრას მოვიგებო...

კაცთა სიებში ძირითადად ჰამბურგში ნაჩაუქევმა არგენტინელებმა აინაცვლეს — გაჩემპიონებული გილერმო კორია 12-თვიან მგორავ სიაში მე-16 ადგილიდან მე-7 ადგილზე აღზევდა, ჩემპიონთა რბოლაში კი მე-8 საფეხურიდან მე-5-მდე აიწია.

დაწინაურდნენ ჰამბურგის ფინალისტი აგუსტინ კალერი და ნახევარფინალისტები — დავიდ ნალბანდიანი და გასტონ გაუდიო. მათზე ცალ-ცალკე აღარ ვისაუბრებთ, რაკილა დაინტერესებული მკითხველი თითოეული მათგანის ადგილანაცვლებაზე წარმოდგენას ქვემორე სიებით თავადვე შეიქმნის.



გილერმო კორია

ორივე სიაში ჩაიჩოჩა ტაილანდელმა პარადორნ შრიჩაფანმა, ვინაც თიხნარს ვერ ჰგუობს და სანამ ბალახობის სეზონი მოვიდოდეს, პერმანენტული თავდაღმართისთვისაა განწირული.

ასევე ქვეითდება წლეულს ტრავმებით გაწამებული მარატ საფინიც. ამ კვირას ის უკვე ზეათეულიდანაც მოიქესტა და როგორც გუშინ გახდა ცნობილი, მაჯის ტრავმის გამო იმ კვირაში დასაწყებ როლან გაროსსაც გამოაკლდება.

# დიუსელდორფული მოულოდნელობანი

**მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი**
**დიუსელდორფი. თიხნარი**
**საპრიზო 1,85 მილიონი ევრო**

## პირველი ტური

### წითელი ჯგუფი

**აშშ — ესპანეთი 2:1; ჩეხეთი — ავსტრალია 2:1**

წითელი ჯგუფის ორივე საპირველტურო მატჩი მოულოდნელად დასრულდა. ამასთან ორივე შეხლის ბედი წყვილთა რკენებმა გაარკვია — ჯეიმს ბლეიკისა და მარდი ფიშის ჯუფთმა ალექს კორეჩასა და ფერნანდო ვისენტეს აჯობა 6:2, 7:6 (11:9), ხოლო ჩეხებმა — ირჟი ნოვაკმა და რადეკ სტეპანეკმა ლეიტონ ჰიუიტისა და უეინ ართურსის წყვილი მოთელეს 6:4, 6:4.

ამერიკელთა და ესპანელთა საკენტო დაპირისპირებაში ბებერმა ტოდ მარტინმა ალექს კორეჩას მოუგო 6:3, 6:4, კარლოს მოიამ კი — ჯეიმს ბლეიკს 7:6 (7:2), 7:5.

რაც შეეხება ავსტრალიელთა და ჩეხთა განდაგანებს — აქ ჰიუიტმა ოზები ნოვაკის ძლევით (6:3, 6:2) დააწინაურა, მაგრამ ჩეხებს სტეპანეკმა უშველა, რომელიც ართურსს 7:6 (7:1), 6:3 მოერია.

### ლურჯი ჯგუფი

**ჩილე — გერმანია 2:1; არგენტინა — შვედეთი 3:0**

შარშანდელმა ჩემპიონმა არგენტინელებმა ტურნირი დამაჯერებელი გამარჯვებით დაიწყეს — გასტონ გაუდიომ ტომას ენკვისტი დაამარცხა 4:6, 6:4, 7:6 (7:4), დავიდ ნალბანდიანმა — იონას ბიორკმანი 6:2, 6:2. ერთი დღით გვიან გამართულ საწყვილო ბუქნაობაში კი ნალბანდიანისა და ლუკას არნოლდის ჯუფთმა ენკვისტ-ბიორკმანისან 6:7 (2:7), 7:6 (7:4), 6:2 მოუგო.

მოულოდნელად წაიფორხილეს მასპინძლებმა, რომლებიც საერთეულო მატჩებში უეცრად გრიპაკიდებული რაინერ შიუტლერის გარეშე თამაშობენ. პირველი დარტყმა მათ ფერნანდო გონსალესმა მიაყენა, ვინაც ლარს ბურგსმიულერი დაიმორჩილა 6:4, 7:6 (8:6). ამის შემდეგ კორტზე თავისი პირველი თიხნარმატჩის გასამართად გავიდა მარსელო რიოსი, მაგრამ მას საქმის მომთავრება 8000 ადგილობრივი ქომაგით შეგულიანებულმა უსახელო გერმანელმა ტომას ბერენდმა არ დააცალა. დაძაბულ შეხლაში მასპინძელმა 3:6, 7:5, 7:6 (7:2) იმარჯვა.

ყველაფერი ჯუფთთა დაგნარმა გაარკვია, რომელშიც ვითომ მომჯობინებული შიუტლერისა და კოლმანის წყვილი 6:1, 2:6, 0:6 დაიჩოგნა გონსალესისა და ნიკოლას მასუს წყვილისგან.

# კლასიფიკაცია

## 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

### ვაჟები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ლეიტონ ჰიუიტი | 4210 ქულა |
| 2 | (2) | ანდრე აგასი | 3900 |
| 3 | (3) | ხუან ფერერო | 3460 |
| 4 | (4) | კარლოს მოია | 2985 |
| 5 | (5) | როჯერ ფედერერი | 2465 |
| 6 | (6) | ენდი როდიკი | 2075 |
| 7 | (16) | გილერმო კორია | 1985 |
| 8 | (13) | დავიდ ნალბანდიანი | 1935 |
| 9 | (8) | ალბერტ კოსტა | 1910 |
| 10 | (9) | პარადორნ შრიჩაფანი | 1830 |
| 11 | (11) | რაინერ შიუტლერი | 1810 |
| 12 | (7) | მარატ საფინი | 1765 |
| 13 | (12) | სხენგ შალკენი | 1735 |
| 14 | (10) | ირჟი ნოვაკი | 1731 |
| 15 | (15) | სებასტიან გროჟანი | 1575 |
| 16 | (14) | გუსტავო კუერტენი | 1540 |
| 17 | (17) | ალექს კორეჩა | 1380 |
| 18 | (18) | ევგენი კაფელნიკოვი | 1375 |
| 19 | (31) | აგუსტინ კალერი | 1375 |
| 20 | (23) | ფერნანდო გონსალესი | 1276 |

### ქალები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სერენა უილიამსი | 6552 |
| 2 | (2) | კიმ კლაისტერსი | 4721 |
| 3 | (3) | ვინუს უილიამსი | 4508 |
| 4 | (4) | ჟუსტინ ენენ-არდენი | 3618 |
| 5 | (6) | ამელი მორესმო | 3358 |
| 6 | (5) | ლინდსი დევენპორტი | 3304 |
| 7 | (7) | ჯენიფერ კაპრიატი | 2784 |
| 8 | (8) | ჩანდა რუბინი | 2490 |
| 9 | (9) | დანიელა ჰანტუხოვა | 2466 |
| 10 | (10) | ელენა დოკიჩი | 2238 |
| 11 | (11) | ანასტასია მისკინა | 2166 |
| 12 | (12) | მონიკა სელეში | 1897 |
| 13 | (13) | ელენა დემენტიევა | 1687 |
| 14 | (14) | ელენი დანილიდუ | 1606 |
| 15 | (15) | მაგდალენა მალეევა | 1600 |
| 16 | (16) | აი სუგიამა | 1567 |
| 17 | (17) | ამანდა კუცერი | 1498 |
| 18 | (18) | მეგან შონესი | 1460 |
| 19 | (19) | პატი შნიდერი | 1426 |
| 20 | (20) | ელენა ბოვინა | 1374 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ანდრე აგასი | 372 |
| 2 | (3) | როჯერ ფედერერი | 311 |
| 3 | (2) | ხუან ფერერო | 307 |
| 4 | (4) | რაინერ შიუტლერი | 288 |
| 5 | (8) | გილერმო კორია | 281 |
| 6 | (5) | კარლოს მოია | 269 |
| 7 | (11) | აგუსტინ კალერი | 214 |
| 8 | (6) | ფელიქს მანტია | 204 |
| 9 | (7) | ენდი როდიკი | 200 |
| 10 | (9) | გუსტავო კუერტენი | 188 |
| 11 | (10) | ლეიტონ ჰიუიტი | 181 |
| 12 | (15) | უეინ ფერეირა | 157 |
| 13 | (24) | გასტონ გაუდიო | 142 |
| 14 | (12) | ვინსენტ სპედია | 138 |
| 15 | (12) | ევგენი კაფელნიკოვი | 137 |
| 16 | (14) | იუნეს ელ აინაუი | 136 |
| 17 | (30) | დავიდ ნალბანდიანი | 134 |
| 18 | (17) | ნიკოლაი დავიდენკო | 116 |
| 19 | (16) | პარადორნ შრიჩაფანი | 114 |
| 20 | (19) | ტომი რობრედო | 113 |

# შეისხი, დანი!



დანიელა ჰანტუხოვა

## უხორცო სექსი ისეთივე აბსურდია, როგორც უსექსო ხორცი

დანიელა ჰანტუხოვა ძალიან ნიჭიერი, თუმცა იმავდროულად ძალიან გამხდარი მეჩოგნეა.

ისეთი გამხდარი, დადარაჯებულ თვალს მის ჩამოშხვართულ სხეულზე ხორცის დანახვა მხოლოდ ალაგ-ალაგ და ისიც ერთობ მჭლედ თუ შეეძლება.

ვინმემ ეგებ იფიქროს, რომ შველფეხება დანიელა ჯერაც პატარა გოგოცუნაა და როცა ასაკს მოიკრებს, უდრტვინველად შეივსება კიდეც.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ ის უკვე არც ისე პატარა ვინმე გახლავთ — დაბადებიდან მთელ 20 წელიწადს მოითვლის და თავისკბილა კოლეგებთან, ვთქვათ, სერენა უილიამსსა თუ კიმ კლაისტერსთან შედარებით ძალზედ კნაჭა-კნუჭად გამოიყურება.

თუ გახსოვთ, ამ რამდენიმე თვის წინ, როცა დანიელამ ერთგან თავისი მომდევნო მარცხი იწვნია — და წლეულს ის ძალზედ უნიათოდ ჩოგნაობს — მან თქვა:

„მინდა, ისეთივე ჯანიანი ვიყო, როგორიც შავდა უილიამსები არიან. აი, ნახავთ, ხვალიდანვე სიმძიმეებს მივეძალები და სულ მალე ორ ჩემხელად ვიქცევი."

ვაგლახ — დრო გადის, მაგრამ ჩოგბურთის სექსდედოფლობის თვალსაზრისით ანა კურნიკოვას მემკვიდრე სლოვაკი ვერა და ვერ მსუყდება. და გამსუყებას ვინლა ჩივის — რაც ასხია, ნელნელა იმასაც ჰკარგავს...

ამ ამბავმა ჩვენი დახავლელი კალმისმიერი ძმები ისე შეაწუხა, რომ წინა კვირაში, რომაულ პირველობაზე, როცა დანიელამ კიდევ ერთხელ წაიფორხილა, ისინი ლიანგად დაინტერესდნენ:

„დანი, თქვენ რა, არ იკვებებით?"

ჰმ!

დანიელა, ცხადია, იკვებება, მაგრამ ამას თურმე „ძალიან ჯანმრთელად" აკეთებს, ისე „ჯანმრთელად", რომ — მისი მწვრთნელის, ნაიჯელ სირსის ხიტყვებს თუ გავიმეორებთ: „რასაც იღებს, იმ კალორიებს ჩოგნის ერთ მოქნევაზე ხარჯავს."

ჩოგნის ქნევა კი მას დღის განმავლობაში ერთზე გაცილებით მეტჯერ უხდება. ჰოდა, სწორედ ამის გამოა, ქალი, ვინაც ჩოგბურთის ხორცშესხმული აფროდიტე უნდა იყოს, ჯერაც პეპი გრძელიწინდას ჩამოჰგავს.

სამეცნიერო ენაზე ამას თურმე ანორექსია ჰქვია.

მაგრამ სირსის მიხედვით, „ახლა უკვე ყველაფერი კონტროლსქვეშაა" და დანიელას კვებაზე უკვე გამოცდილი დიეტოლოგი ზრუნავს.

დიეტოლოგი ამბობს, რომ წლევანდელი უიმბლდონისთვის მისი პაციენტი ფერხორციანობის პიკზე იქნება...

ამჟამად დანიელა მონტე კარლოში ცხოვრობს. მშობლიური სლოვაკეთი მან ძირითადად იმის გამო დატოვა, რომ ზამთარში სავარჯიშოდ იქ ხელსაყრელი პირობები არ ჰქონდა.

არადა, მისი წონაში დაკლება სწორედ სამშობლოდან წასვლას, უფრო ზუსტად — დედის სამზარეულოსგან მოცილებას უნდა უკავშირდებოდეს.

„დედაჩემისნაირად აქ ვერავინ აკეთებს — ამბობს დანიელა — მონაკოს საუკეთესო რესტორნებშიც კი ვერ შეჭამთ ისეთ გემრიელ საჭმელებს, დედა რომ აკეთებს."

ასეა — დედის წინ მორბენალი კვიცი ხშირად მშიერი რჩება ხოლმე

თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა, აქ კი ისიც უნდა დავძინოთ, რომ ოჯახი მის ცხოვრებაში ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა.



ანა კურნიკოვა

„სულ პირველად ჩემი ბებია, ჰელენა მწვრთნიდა — იგონებს დანი — მაშინ მე მხოლოდ ექვის წლის ვიყავი. ის ცნობილი მეჩოგნე იყო და ივან ლენდლის, მარტინა ნავრატილოვასა და ჰანა მანდლიკოვას მშობლებთან მეგობრობდა."

სხვაფრივ — დანიელას ხვალი ქომაგებისთვის ვინძლო საამო გამოდგეს ის ამბავი, რომ მისი გული ჯერაც თავისუფალია და ის არავისთან არ სწორფრობს.

„ჩოგბურთი ძალიან მძიმე სპორტია. ვცდილობ, ყველასთან კარგი ურთიერთობები მქონდეს, მაგრამ ვინმესთან განსაკუთრებით დაახლოება მაინც მიჭირს... მაგრამ მე საუცხოო მშობლები, ძმა, მწრთნელი და აგენტები მყავს და ვფიქრობ, რომ ყველაფრის მიუხედავად მაინც უბედნიერესი მეჩოგნე ვარ."

**ლევან ძელაურაძე**

ჯირო დიტალია 10 მაისი - 1 ივნისი

# 42! სუპერმარიოს სუპერრეკორდი

## უჩემოდ ვინ ირბოლეთა?!



მარიო ჩიპოლინის ტრიუმფთა ჟამი უდგას

ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო. 36 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მარიო ჩიპოლინიმ წლევანდელი ჯიროს მე-9 ეტაპიც მოიგო და პირველი ველომრბოლი გახდა, ვინც ჯიროს მატიანეში ამ უმნიშვნელოვანეს და საარაკო, 41-ეტაპიან ზღვარს გადააბიჯა.

ადრე „სუპერმარიოდ“, ახლა კი „მეფე ლომად“ შერაცხულმა ჩიპოლინიმ ამ უქმეებზე 1933 წელს ლეგენდარული ესპანელის ალფრედო ბინდასის რეკორდი (41 ეტაპი) გაიმეორა. ორშაბათს კი მან ეს რეკორდი დაამხო და ველორბოლის ისტორიაში უნიკალური რეკორდის პატრონი გახდა (42 ეტაპი).

იტალიელმა სპრინტერმა ახალი რეკორდი ჯიროს მე-9 ეტაპის გასრულების შემდეგ დაამყარა. მისთვის მშობლიური არეცოდან (ჩიპოლინი ახლაც იქ ცხოვრობს) მონტეკატინიმდე გაჭიმულ გზატკეცილზე თავისი ველო ძალიან სწრაფად აჯირითა და 160 კილომეტრი 3 საათში, 41 წუთსა და 58 წამში გაირბოლა. იგივე დროში მივიდნენ ფინიშთან მისი მდევრები, ავსტრალიელი რობი მაკივენი, იტალიელი ალესანდრო პეტაჩი და ჩეხი იან სვორადა, მაგრამ, როგორც ფოტოფინიშმა აჩვენა, ჩიპოლინის ორთვალამ მილიმეტრებით მიასწრო დანარჩენებისას. „პირველი, რაც მინდა გავაკეთო, ისაა, რომ განვმარტოვდე და ხმის ჩახლეჩამდე ვილრიალო. ემოციებს ველარ ვიტევ... დაე ყველამ გაიგოს, რომ ჩიპოლინი ცოცხალია“ — მომქანცველი და დრამატული რბოლის შემდეგ გრძნობებად იფრქვეოდა ახალი რეკორდსმენი. ისევ ჩიპოლინი: „ახლა ძალიან მინდა, ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებს პირისპირ ვესაუბრო. ტური უდიდესი რბოლაა მსოფლიო სპორტში და უჩემოდ იგი გაუფერულდება. ხომ დავამტკიცე, რომ ჩემი ჩამოწერა ნაადრევია. ტურის ორგანიზატორებს ვურჩევ, ჩემთვის გამონაკლისი დაუშვან და რბოლაში მიმიწვიონ.“

შეგახსენებთ, რომ ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა „დომინა ვაკანცეს“, რომლის წევრიცაა ჩიპოლინი, უარი უთხრეს იტალიელი მრბოლის ტურზე დაშვებაზე, რადგან „სუპერმარიო“ ძველი გუნდიდან, „აკვა საპონედან“ მაშინ გადავიდა ახალში, როდესაც ამ უკანასკნელს უკვე წარდგენილი ჰქონდა განაცხადი. ერთადერთი, რაც ჩემპიონს უშველის, ის „უაილდ ქარდია“, რომლის გაცემაზეც ტურის ორგანიზატორები ჯერჯერობით უარზე არიან.

ჩიპოლინიზე ლაპარაკი ამით დავასრულოთ, მით უმეტეს, რომ ჯიროს მე-9 ეტაპზე, მართალია, ნაკლებად საინტერესო, მაგრამ მაინც გამოსარჩევი ამბავი მოხდა.

ჯიროს ერთადერთი ლატვიელი მრბოლი ანდრის ნაუდუჟსი რბოლის ორგანიზატორებმა სამეტაპიანი დისკვალიფიკაციით და აქამდე მონაგები 25 ქულის ჩამორთმევით დასაჯეს. ერთიცაა, თუ ლატვიელმა ტექნიკური კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა, შეიძლება სასჯელი შეუმსუბუქონ, რადგან იგი იტალიელი ალესანდრო პეტაჩის პროვოკაციას წამოეგო და მისი „სახიფათო მოქმედება“ წინასწარ განზრახული არ იყო.

საქმე ასე იყო: დისტანციის ბოლო კილომეტრებზე პელოტონს პეტიჩი და ნაუდუჟსი გამოეყვნენ და ლიდერებს გამოეკიდნენ. ლატვიელი ოდნავ წინ გაიჭრა, მას პეტაჩი წამოეპარა და სახეში ხელი მოუქნია. ნაუდუჟსმა კი აიცილა, მაგრამ ეს მას იტალიელისგან ჩამორჩენის ფასად დაუჯდა. სპურტში ლატვიელი მალევე დაეწია პროვოკატორს და ჩაფხუტში ისეთი ჩაარტყა, თვალებიდან ნაპერწკლები ცყარეო, ამბობდა ნარბოლევს პეტაჩი.

მრბოლთა მუშტი-კრივი იმით დამთავრდა, რომ ნაუდუჟსი, რომელიც პოლონური გუნდის „ატლას-პოლსატის“ წევრია, ფინიშამდე წაიქცა, ხოლო პეტაჩიმ ლიდერთა სამეულში დაასრულა რბოლა.

ნაუდუჟსი, ვინც მწვანე მაისურის (ყველაზე აქტიური სპრინტერი) მფლობელია, სასჯელის შემსუბუქებას ითხოვს. აქედან რა გამოვა, მხოლოდ ტექნიკურმა კომისიამ უწყის.

**ბაჩო სვანიძე**

### ტექნიკური შედეგები

**IX ეტაპი, 19 მაისი**
**არეცო — მონტეკატინი 160 კმ**

1. მარიო ჩიპოლინი (იტალია, დომინა ვაკანცე) 3სთ 41წთ 58წმ
2. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) იგივე დრო
3. ალესანდრო პეტაჩი (იტალია, ფასა ბორტოლო) იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. სტეფანო გარძელი (იტალია, ვინი კალდიროლა) 40სთ 56წთ 16წმ
2. ჯილბერტო სიმონი (იტალია, საიკო) -40წმ
3. ანდრეა ნოე (იტალია, ალესიო) - 54 წმ



# ბენზინის ჩასხმა არ აიკრძალება

*კვირას ავსტრიის დიდი პრიზის გათამაშებისას მიხაელ შუმახერის ბოლიდში საწვავის ჩამატებისას გაჩენილი ხანძარი კვლავ საყოველთაო მსჯელობის თემაა*

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

შეგახსენებთ, „ფერარის“ ბოქსში ავტომატური ჩამსხმელი მოწყობილობა გაფუჭდა და შლანგიდან გადმოქცეული ბენზინი უცებ აალდა. მრბოლს, ცხადია, საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ მექანიკოსები არ დაბნეულან და ორიოდ წამში ცეცხლი ჩააქრეს. ამ კრიტიკულ ვითარებაში მიხაელმა საოცარი ნებისყოფა გამოამჟღავნა — მშვიდად იჯდა კოკპიტში, მერე კი რბოლა გააგრძელა და ბრწყინვალე გამარჯვებაც მოიპოვა.

ინციდენტი, რა თქმა უნდა, გამოუკვლეველი არ დარჩება — საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია, აგრეგატის მწარმოებლები და „ფერარი“ ერთად ეძებენ მიზეზებს და იმედია, რამდენიმე დღეში ყველაფერი გაირკვევა.

მდგომარეობა არც ისე დრამატულია, თუმც აქა-იქ უკვე გაისმა ხმები საწვავის დამატების აკრძალვაზე, აქაოდა, ხომ ნახეთ, მეტად საშიში პროცედურააო. მაშინვე ყველას თვალწინ დაუდგა ცხრა წლის წინანდელი საშინელება, როცა ანალოგიურ სიტუაციაში თავის „ბენეტონში“ კინაღამ ცოცხლად ჩაიწვა იოს ფერსტაპენი. 22 წლის ჰოლანდიელის სიცოცხლე გერმანულ „ჰოკენხაიმრინგზე“ მართლაც ბეწვზე ეკიდა, მაგრამ მეხანძრეებმა გმირობა გამოიჩინეს და პილოტი სიკვდილს გადაურჩა. ბენზინის ჩამატება მაშინ არავის აუკრძალავს.

რაც შეეხება კვირას ავსტრიაში მომხდარს, საქმეში ჩახედული ხალხი კატასტროფულს ვერაფერს ხედავს. დაზარალებული მხარის, „ფერარის“ ხელმძღვანელობა მოუწოდებს, არ მიიღონ ნაჩქარევი გადაწყვეტილება და ფორმულა 1-ს ეს პროცედურა შეუნარჩუნონ, როგორც რბოლის მნიშვნელოვანი ნაწილი.

„სკუდერიის“ გენერალური დირექტორი ჟან ტოდტი: „მოდით, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის. მთავარია, მიზეზი გამოვიკვლიოთ, და სათანადო ზომები მივიღოთ, რათა მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. იმ პერიოდში, როცა ჩამატება აკრძალული იყო, მანქანები რბოლისას არაერთხელ აალებულა. ახლა კი ამდენი ხანია, ცეცხლთან დაკავშირებით პრობლემა არ გაგვჩენია, რადგან უსაფრთხოება უმაღლეს დონეზეა. საწვავის ჩამატება რომ ავკრძალოთ, მაშინ ბოლიდები რბოლას 200 ლიტრი ბენზინით დაიწყებენ, ეს კი იქნებ უფრო საშიშიცაა. უბრალოდ, უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ავტორბოლა საერთოდ სპორტის სახიფათო სახეობაა.“

**გია ახალაძე**



9 წლის წინანდელ იოს ფერსტაპენის მართლა ხანძარს არ გამოუწვევია იმხელა აჟიოტაჟი, რამხელაც მიხაელ შუმახერის ბოლიდის აალებამ




# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს
მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოვვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე. (ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის

### განცხადება

2004 წელს ათენში ზაფხულის XXVIII ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობის პერიოდში (13-29 აგვისტო) იმუშავებს ტრადიციული ახალგაზრდული ოლიმპიური ბანაკი. საქართველოდან ბანაკში გაიგზავნება ერთი გოგონა და ერთი ბიჭი. ბანაკში მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯებს სეოკ-ი და საერთაშორისო ორგანიზაციები გაიღებენ.

ათენში გამგზავრების მსურველები უნდა იყვნენ 16-18 წლისანი, ფლობდნენ ინგლისურს, ერკვეოდნენ საქართველოს ისტორიის, კულტურის, სპორტისა და ოლიმპიური მოძრაობის საკითხებში და უნდა ჰქონდეთ კომპიუტერზე მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება.

ათენში გამგზავრების კანდიდატთაგან შერჩევა საკონკურსო გასაუბრებით მოხდება.

მსურველები დაგვიკავშირდნენ სეოკ-ის ოფისში ამა წლის 15 ივლისამდე.
მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №65. ტელ: 94-30-91

# ბაღდადური

*სადამ ჰუსეინის გაბუნძულების შემდეგ ეს პირველად მოხდა, იქაურ „ალ ზავრას“ სტადიონზე ბურთი რომ გაგორდა. სანახაობას დანატრებული ბაღდადელები „ალ ზავრამ“ და პოლიციის კლუბმა შეიქციეს.*



REUTERS ბაღდადიდან

# სიხარულის ბალახი

*რომის „ლაციომ“ „ბრეშასთან“ საშინაო გამარჯვების შემდეგ გაისად ჩემპიონთა ლიგაში ბრძოლის უფლება მიიღო. ამ ფაქტით აღფრთოვანებულ ფანთაგან ზოგიერთმა რომის ოლიმპიური სტადიონის მინდორს მიწა-კოინდრის ზორბა-ზორბა ნაჭრებიც აახია.*



REUTERS რომიდან




REUTERS პარიზიდან

# მარია შკნიდან

*ამა აგვისტოს 23-დან 31-მდე ფრანგთა დედაქალაქში მძლეოსნობის მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ჩემპიონატის ორგანიზატორებმა პირველობის ოფიციალური პლაკატი გამოუშვეს. პლაკატზე უსახელო მორბენალი, ცენტრალურ-აფრიკული წარმომავლობისა და ფრანგული მოქალაქეობის მარია კონჟუნგო გამოუსახავთ. ჰო, მარიას სახელი მართლაც არაფერს გვეუბნება, განსხვავებით მისი უკანახედისგან, რაიც ერთობ მრავლისმთქმელი და თანვე მრავლისაღმთქმელიცაა.*

## ფეხბურთი

### საფრანგეთი

I დივიზიონი. XXXVII ტური

ლილი 2:0 აიაჩო
სტრასბური 1:2 ოსერი
ნიცა 1:1 ბორდო
ლე ავრი 1:3 ლანსი
მონპელიე 1:1 ლიონი
გენგამი 3:1 მონაკო
ტრუა 2:0 ნანტი
პსჟ 0:0 რენი
მარსელი 4:2 სედანი
ბასტია 2:2 სოშო

### პოლონეთი

XXVII ტური

ოდრა 0:3 ამიცა

### შვედეთი

VII ტური

ჰელსინგბორგი 0:1 ჰალმსტადი

### იტალია

თასის ფინალი. I მატჩი

რომა 1:4 მილანი



REUTERS რომიდან

რომა — მილანი. მასიმო ამბროზინიმ რომაელებს საგოლედ უთავაზა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გ[illegible], გიორგი დარჯანია, გიორგი [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ [illegible], მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge